# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 22 იანვარი. 2024 წ. №8 (9688) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




დარდისგან გამხმარნი

## ორპროცენტიან ზღვარზე მოჩანჩალე ლაჩარი

იხ. 3 გვ.

გია აბაშიძე:

**გიორგი გახარიასა და ლევან ხაზეიშვილს შორის არანაირი იდეოლოგიური, გონებრივი განსხვავება აღარ არის!**

შალვა პაპუაშვილი:

## ყველა, ვინც ახლა აღვივებს ანტიჩინურ განწყობებს, სურს, რომ საქართველო აქციოს ჩიხად და არა დერეფნად

2

2 3



## უკრაინა მიწასთან არის გასწორებული

**რუსეთ-უკრაინის ომს თუ გონივრულად განვიხილავთ, ჩნდება დაპირისპირების ახალი კერები, რაც ფართომასშტაბიან ომში გადადის!..**

ზელენსკი ტრამპს:

## თუ ომის შეჩერება შეგიძლიათ, კიევში გელოდებით!

8





## დიდ საფრანგეთთან პატარა აზერბაიჯანს ვითომ გაუვა მართალი?!

8



ლორენცო შარანგია



7

## აფხაზებო და ქართველებო, გვიყვარდეს ერთმანეთი, შევუნდოთ ერთმანეთს!

## ანტი-რეკორდი

**ზემო სვანეთი გარდაუვალი ენერგეტიკული კოლაფსის წინაშეა!**

6



საბაზრო ეკონომიკის თაღლითობანი

4

## ჩვენთან ინტერნეტიც კი ევროპის ქვეყნებზე ძვირია, ძვირი!

## „შავი ლომის“ შავი დღე

ტრადიციული ქართული ბაქიბუქის შემდეგ, ჩვენი რაგბის მთავარმა გუნდმა „შავმა ლომმა“ შაბათს, 20 იანვარს, მიხეილ მესხის სტადიონზე, „ჩელენჯ თასის“ გათამაშებაში კიდევ ერთი „დაუვიწყარი“ მარცხი განიცადა — 3:36 საფრანგეთის უძლიერეს „კლერმონთან“.

...ჩავთვალოთ ეს დამარცხება კიდევ ერთ ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად, არ შედრკეთ, ბიჭებო!

**ვრცელი კომენტარი — შემდეგ!...**





# „ქართული ოცნების“ დელეგაციის ვიზიტი ჩინეთში დასრულდა

**„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, მმართველი პარტიის დელეგაციის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დასრულდა.**

20 იანვარს დელეგაციის წევრები შანხაის ახალი, ლინ-განგის რაიონში მდებარე თავისუფალი ეკონომიკური ზონის ხელმძღვანელს, ჭაო იხუაის და შანხაის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ჩენ ძინგს შეხვდნენ, თავისუფალი ეკონომიკური ზონა დაათვალიერეს და მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

**„დავასრულეთ ვიზიტი ჩინეთში, გვქონდა ძალიან ნაყოფიერი შეხვედრები მმართველი პარტიის საგარეო გუნდის ხელმძღვანელობასთან, მინისტრთან, მინისტრის მოადგილესთან, ასევე ვაჭრობის მინისტრის მოადგილესთან, ეროვნული სახალხო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილესთან, ასევე ქალაქ შანხაის ხელმძღვანელობასთან. პოტენციალი არის ძალიან დიდი. ჩვენი სურვილი და მიზანია, გავაღრმაოთ ჩინეთთან თანამშრომლობა სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მიმართულებით. შარშან ხელი მოეწერა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას, რაც ქმნის ძალიან კარგ საფუძველს, რათა გაღრმავდეს პარტნიორობა აბსოლუტურად ყველა სფეროში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია პოლიტიკური თანამშრომლობა, განსაკუთრებული პოტენციალი გვაქვს ეკონომიკის სფეროში, ეს პოტენციალი მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, მაღალი დონის შეხვედრები გაიმართა პეკინსა და შანხაიში. „ქართული ოცნების“ დელეგაცია შეხვდა ჩინეთის მმართველი პარტიის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მინისტრ ლიუ ძინჩაოს, მინისტრის მოადგილეს, სუნ ხაიანს, სახელმწიფო საბჭოს განვითარების კვლევის დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტს, ჭანგ ლაიმინგს, ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს სიაო ძიეს, ჩინეთის ვაჭრობისა და კომერციის მინისტრის მოადგილეს ლინგ ძის, შანხაის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ჩენ ძინგს.

**მმართველი პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩიქოვანი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვიქტორ სანიკიძე.**

# შალვა პაპუაშვილი: ყველა, ვინც ახლა აღვივებს ანტიჩინურ განწყობებს, სურს, რომ საქართველო აქციოს ჩიხად და არა დერეფნად

**ყველა, ვინც ახლა აღვივებს ანტიჩინურ განწყობებს საქართველოში, მიმართულია, იქითკენ რათა ჩაშალოს საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტები და საქართველო აქციოს ჩიხად და არა დერეფნად,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.



როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, სტრატეგიული პარტნიორობა ჩინეთთან აქვს ევროკავშირსაც და ბევრ ქვეყანასაც.

**„ახლა ამის წარმოჩენა რაღაც განსაკუთრებულად არის აბსოლუტური მანიპულაცია და ანტიქართული პროპაგანდა. ვინაიდან, ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს. საქართველოს ინტერესი არის შუა დერეფანი, აბრეშუმის გზა, რაზეც დღეს არის გადმორთული უკვე ბევრი ტვირთის გადაზიდვა, მას შემდეგ, რაც ე.წ. ჩრდილოეთის დერეფანი, რომელიც რუსეთზე გადის, ჩაიკეტა და როგორც ჩანს, დიდი ხანი კიდევ ჩაკეტილი იქნება. ჩვენ, სწორედ გვაქვს ახლა შესაძლებლობა, რომ ეს დერეფანი გამოვიყენოთ, ეს ტვირთები, რომლებიც იმოძრავებენ ჩინეთსა და ევროკავშირს შორის, გაიდეს საქართველოზე. იმაზე უნდა დაფიქრდეთ, რომ ხალხი, ვინც ამას ეწინააღმდეგება, რა ინტერესები, რა დაფინანსება დგას ამ ხალხის უკან, რადგან ფაქტია, რომ ყველა, ვინც ახლა აღვივებს ანტიჩინურ განწყობებს საქართველოში, მიმართულია, იქითკენ რომ ჩაშალოს საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტები და საქართველო აქციოს ჩიხად და არა დერეფნად“,** – განაცხადა პაპუაშვილმა.

# თინა ხიდაშელი ამაოდ ცდილობს, ანტიჩინური განწყობები გააღვივოს!

**თინა ხიდაშელის „ენჯეო“ ფინანსდება ტაივანიდან და ცდილობს, საქართველოში ანტიჩინური განწყობები გააღვივოს,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.



მისივე თქმით, თავდაცვის ყოფილ მინისტრ თინა ხიდაშელს საიდუმლო ინფორმაციაზე ჰქონდა წვდომა, რაც ცალკე პრობლემაა ჩვენი უსაფრთხოებისთვის.

**„რაც შეეხება ჩინეთში ვიზიტს, მიკვირს, აქაც რამდენად აცდენილია ოპოზიცია ეროვნულ ინტერესებს. არათუ დღეს, ჩვენი მთელი არსის, დამოუკიდებლობის პერიოდში და მანამდეც, ყოველთვის ვსაუბრობდით საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რომ საქართველო არის ხიდი ევროპასა და აზიას შორის. როცა ვსაუბრობთ აბრეშუმის გზაზე, ეს აბრეშუმის გზა სად იწყებოდა, თუ გაიხსენებს ვინმე. იწყებოდა ჩინეთში და მთავრდებოდა ევროპაში. ამაზე გვაქვს საუბარი და დღეს ატეხილი აქვთ აბსოლუტური ისტერია, მათ შორის, რაღაც ანტიჩინური განწყობების შექმნის მცდელობაა. განსაკუთრებით გამორჩეულია თინა ხიდაშელი, „სამოქალაქო იდეის“ ხელმძღვანელი. ეს ცალკე თემაა.**

# SOS! უკრაინა მიწასთან არის გასწორებული

## რუსეთ-უკრაინის ომს თუ გონივრულად განვიხილავთ, ჩნდება დაპირისპირების ახალი კერები, რაც ფართომასშტაბიან ომში გადადის!..

**რუსეთი პოზიციებს იმაგრებს და ძლიერად უტევს უკრაინას. ვითარება ბრძოლის ველზე უკიდურესად მძიმეა და ამის პარალელურად, კლებულობს უკრაინის მიმართ საერთაშორისო დახმარებაც. უკრაინის პრეზიდენტი აცხადებს, რომ უკრაინისათვის დახმარების გაწევა, პირველ რიგში, ევროპის სტაბილურობის უზრუნველყოფაა, თუმცა როგორც ყოველთვის, დასავლეთი სათანადოდ არ აფასებს რუსეთს და მის შესაძლებლობას, რაც აისახება კიდევაც ფრონტის ხაზზე.**



**მძიმე ბრძოლებისა და იძულებითი მობილიზაციის პარალელურად, პოლონეთი უკრაინას მოუწოდებს, რომ ნატოს სრულფასოვანი წევრობისკენ ისწრაფვოდეს. როგორც პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ აღნიშნა, უკრაინის ნატოში გაწევრება ძალიან მნიშვნელოვანია მთლიანად ნატოს სიძლიერისთვის და პოლონეთის უსაფრთხოებისთვის. გააგრძელებენ თუ არა ნატოს მოკავშირეები უკრაინის მხარდაჭერას, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა როგორც ნატოს გენერალური მდივანი აცხადებს, უკრაინის დახმარება არის ინვესტიციები ნატოს უსაფრთხოებაში.**

**დაიწყება თუ არა მოლაპარაკება კონფლიქტის გაყინვის თაობაზე, ამ საკითხებთან დაკავშირებით For.ge პოლიტოლოგს, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარს თამარ კიკნაძეს ესაუბრა.**

**– ვითარება არის უმძიმესი და ვხედავთ, რომ მთავარი მოთამაშეები ცდილობენ გაახანგრძლივონ ომი. როგორ ფიქრობთ, სად შეიძლება დაისვას წერტილი?**

– ჩვეულებრივი პროცესია. საერთოდ, ქვეყნის კეთილდღეობაზე უნდა ფიქრობდეს მისი მმართველი და დიდი გენიოსობა არ სჭირდება, მიხვდე იმას, რომ შედეგი უკრაინისთვის არის ძალიან ცუდი. მოსახლეობის გენოფონდი გაწყდა და ამაზე ლაპარაკობენ უკრაინელი მაღალჩინოსნები. იგივე ზალუჟნი და თვით ამერიკელი ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთს ისინი ვერ დაამარცხებენ, უბრალოდ, ახანგრძლივებენ ამ წინააღმდეგობის გაწევის პროცესს.

პარალელურად, მიდის ვაჭრობა ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში, რომელიც ხდება ამ საწყალი და გაუბედურებული უკრაინის ხარჯზე. შედეგი სახეზეა - უკრაინა დამარცხებულია და აღარ იქნება ისეთი ქვეყანა, როგორიც ამ ომამდე იყო. თქვენ იცით, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს შედეგი დადგებოდა.

**– ომის პარალელურად, მიმდინარეობს საუბრები ომის გაყინვაზე, თუმცა უკრაინის ხელისუფლება ამბობს, რომ მათ უნდათ რუსული გაყინული აქტივები და არა გაყინული კონფლიქტები...**

– ასე მარტივად არ არის. რუსებს, რომ აქტივებს გაუყინავენ, მათ აქვთ საპირისპიროს განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც ნაკლებად არ დააზიანებს დასავლეთს, თორემ აქამდე გააკეთებდნენ ამას. ყველა ომი რაღაცით მთავრდება. ახლა მიმდინარეობს ვაჭრობის პროცესი. თუ თეორიულად განვიხილავთ მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესს, პარალელურად, ჩნდება სხვა საომარი მოქმედებების კერები.

თეორიის მიხედვით, ჩნდება დაპირისპირების კერები, მერე ეს გადადის დიდ, ფართომასშტაბიან ომში, რომლის შედეგად არსებული ძველი წესრიგი საერთოდ იშლება და ხდება ახალი შეთანხმებების და ახალი თამაშის წესების განსაზღვრა, იქამდე, რომ კულტურა, სამართალი, პოლიტიკა და ეს ყველაფერი იცვლება, როგორც მოხდა წინა მსოფლიო წესრიგების ფორმირების პროცესში.

**– რასაც ვხედავთ რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ტექნოლოგიურ დონეზე გადადის, იგივე დასავლელი პარტნიორები მიხვდნენ, რომ ამ ომ-**

# ორპროცენტიან ზღვარზე მოჩანჩალე ლაჩარი



## გია აბაშიძე: გიორგი გახარიასა და ლევან ხაზეიშვილს შორის არანაირი იდეოლოგიური, გონებრივი განსხვავება აღარ არის!

**„ოცნებისა“ და გიორგი გახარიას ურთიერთდამოკიდებულებები სულ უფრო მწვავდება — უკავშირდება თუ არა ეს არჩევნებს და არის თუ არა გახარიას მიზანი, რომ ამით ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის მობილიზება მოახეროხს?**

**ყოფილი პრემიერი გიორგი გახარია ყოფილ თანამებრძოლებს ღიად უპირისპირდება. „პატარა მშიშარა გიჯებს ივანიშვილი უკვე გვერგან ჩაშვებული ჰყავთ“**, — ამ სიტყვებით გახსნა **გახარიამ** „ოცნების“ წინააღმდეგ ახლი დაპირისპირება. **პარტია „საქართველოსთვის“ დამფუძნებელი ამბობს, რომ გუნდი, რომელსაც ივანიშვილი ყველაზე მეტად ენდობოდა, მის ზურგს უკან სხვაგვარად იქცეოდა და პოლიტიკურ კულისებში გასული კობახიძე-ღარიბაშვილის გუნდი, სხვებს ჩუმად უყვებოდნენ, როგორ მიიღებოდა გადაწყვეტილებები პარტიაში, სხვისი ხელით და არაფორმალურად.**

გიორგი გახარიას „ოცნებიდან“ მალევე უპასუხეს, მათი თქმით, სავარაუდოდ, წინასაარჩევნოდ გახარიამ აქტიურობის ეს ფორმა აირჩია და ამით ყურადღების მიქცევას ცდილობს.

ქალაქის მერი **კახა კალაძე** ამბობს, რომ ყოფილი პრემიერის მთავარი საზრუნავი 5%-ანი ბარიერის გადალახვაა და ურჩევს ამ საკითხს მიხედოს.

„ხალხის ძალის“ ლიდერი **გურამ მაჭარაშვილი** ამბობს, რომ ყოფილი პრემიერი იმ ქსელში გაიხლართა, რა ქსელებსაც, ზოგადად, აბამდა ხოლმე. მაჭარაშვილის თქმით, გახარიას განცხადებები განწირული პოლიტიკოსის განცხადებებს ჰგავს და სინამდვილეში ის არაფრის მაქნისი არ არის.

რამდენიმე დღის წინ კი პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა **გექა ლილუაშვილმა** განაცხადა, რომ მოლოდინი აქვთ, წინასაარჩევნოდ პარტიის თავმჯდომარისა და ექსპრემიერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. გახარიას შს მინისტრობისა და პრემიერობის დროს მომხდარ გადაცდომებსა და შესაძლო დანაშაულზე მმართველი პარტიის წარმომადგენლები პერიოდულად საუბრობენ ხოლმე, თუმცა, მას შემდეგ, რაც ორიოდე დღის წინ გახარიამ პოლიტიკაში ახლადდაბრუნებულ „ოცნების“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილს დებატები შესთავაზა, „ოცნების“ მხრიდან გახარიასადმი ბრალდებები კიდევ უფრო გახშირდა.

მას მერე, რაც გახარიამ ივანიშვილი დებატებში გამოიწვია, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ** საპასუხო პოსტი დაწერა. ის ახსენებს 20 ივნისის, კლუბ „ბასიანისა“ და პანკისის მოვლენებს, ასევე საუბრობს იმ კოალიციაზე, რომელიც რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკრებულოში გახარიას პარტიამ ენმ-თან შექმნა.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ სამწუხარო რეალობაა, როცა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ისეთი ოდიოზური ფიგურები არიან, როგორებიც გიორგი გახარია და მამუკა ხაზარაძე არიან. აბაშიძე მიიჩნევს, რომ ამ ადამიანების პოლიტიკაში ყოფნა უკვე დიდი ანომალიაა.

**„გიორგი გახარია ყოველთვის ცდილობს, რომ ტყუილებით, დეზინფორმაციით, მანიპულაციით, საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. ჰგონია, რომ ამით მის პარტიას რაღაცა პროცენტები მოემატება. არადა პირიქით ხდება. გავიდა საკმარისი დრო, რაც მისი პარტია ოპოზიციურ ველზეა და მიუხედავად ამისა, მაინც მოჩანჩალებს ორპროცენტიან ზღვარზე. მიუხედავად ამისა, მაინც აქვს ამბიცია, რომ თითქოს ის არის მესამე ალტერნატიული ძალა თუ ცენტრი და ა.შ. ეს არის გუნდის მოღალატე ადამიანი, რომელიც უწინარეს, თავად არის მშიშარა, რომელიც პრემიერის პოსტიდან მხოლოდ იმიტომ გაიქცა, რომ ნიკა მელია არ დაეჭირა. როგორ შეიძლება გახარია სხვების შიშზე საუბრობდეს, როდესაც თავად სუპერ ლაჩარია. მე მგონი ამაში პრველი პრიზი ოპოზიციურ სივრცეში მას ეკუთვნის“,** — ამბობს აბაშიძე.

რაც შეეხება იმას, ოპოზიციურ რომელ ელექტორატზე მუშაობს ამ განცხადებით გახარია და რა შედეგს მიიღებს ამით, აბაშიძე მიიჩნევს, რომ თავად გახარიამ არ იცის, რომელ ელექტორალურ სეგმენტზე მუშაობს.

**„გახარია „ნაცმოძრაობის“ კლასიკურ ტრენდში ჩაჯდა, როდესაც „ოცნების“ უსაფუძვლო კრიტიკა და ლანძღვა-გინება დაიწყო, ხოლო ამომრჩეველს ალტერნატიულ პროგრამებს და საქმეს არ სთავაზობს. ანუ გიორგი გახარიასა და ლევან ხაზეიშვილს შორის, არანაირი იდეოლოგიური, გონებრივი განსხვავება აღარ არის.**

**რაც შეეხება გახარიასთვის სისხლის სამართლის შესაძლო დევნის დაწყებას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკაში ყოფნა არავისთვის ინდულგენცია არ არის. დემოკრატიულ ქვეყანაში, პოლიტიკოსს რომ დანაშაული აქვს ჩადენილი, ის პასუხს აგებს. თუმცა, გახარიას გარშემო მყოფი მისი პაროდისტები ცდილობენ, რომ ყურადღება მიიქციონ, გააკეთონ სკანდალური და იაფფასიანი განცხადებები და ამით ფიქრობენ, თავიანთ პარტიას პოლიტიკურ დივიდენდებს შესძენენ, რაც უკიდურესად სასაცილოა“,** — ამბობს აბაშიძე.

---

**ში გადამწყვეტ როლს შეასრულებს სწორედ ახალი ტექნოლოგიები?**

— დღეს, საერთაშორისო სისტემის სუბიექტები არიან გამრავლებული. არა მარტო სახელმწიფოები, არამედ იქ არის ტრანსნაციონალური კომპანიები, კერძო სამხედრო ორგანიზაციები, აიტი ჯგუფები და ა.შ. რომლებსაც თავისი ინტერესები აქვთ და ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება არის იარაღისა და ტექნოლოგიების გამოცდა ამ პროცესში. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიები გაიმარჯვებენ. დღეს, კონკურენცია სახელმწიფოებს შორის გადის ამ ტექნოლოგიების არსებობაზე.

რუსებს აქვთ მოწინავე სამხედრო ტექნოლოგია. სხვათა შორის, ამერიკელი სამხედროების აღნიშნავენ — „ამერიკელები რომ დაეწიონ და გააუმჯობესონ თავისი სამხედრო ტექნოლოგიები, ანუ, რომ მოხდეს გადაიარაღება და კონკურენტუნარიანი რომ იყოს რუსეთთან მიმართებაში, დაახლოებით 7-8 წელი სჭირდებაო“. ამიტომ, ვფიქრობ, რომ რაღაცა დათმობებზე წავლენ და რაღაცაზე შეთანხმდებიან, თუ, რა თქმა უნდა, არ იქნა ფართომასშტაბის ომი. იმიტომ, რომ ეს მართვადი ქაოსის თეორიაც მოქმედებს, რომელიც ამ გლობალურ არეულობას გულისხმობს და მერე ამ თამაშების წესების და მოთამაშეების ინტერესების დალაგებას აი, ამ ახალ ფრონტზე.

**— ვლადიმერ პუტინის განცხადებით, თუ მომავალშიც გაგრძელდა ის, რაც ახლა ხდება, უკრაინის სახელმწიფოებრიობა მალე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ანუ, გამოდის, რომ რუსეთ-უკრაინის ომი**



**გაგრძელდება ხანგრძლივი დროით, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთმა და აშშ-მა უკრაინას საგრძნობლად შეუმცირეს დახმარება?**

— რაც უფრო დრო გავა, მით უფრო შენელდება ეს დახმარება და რუსებს შეექმნებათ ხელსაყრელი პირობა თავიანთი მიზნის მიღწევისთვის. პოსტსაბჭოთა პერიოდში უკრაინა ყოველთვის წარმოადგენდა მოწინავე სახელმწიფოს და თუ ისტორიულ პერიოდსაც გავიხსენებთ, დღეს სულ უფრო მუსირებს ის აზრი, რომ უკრაინელებმა დაანგრიეს საბჭოთა კავშირი. მაგრამ უკრაინა ბოლო 30 წლის განმავლობაში არის მტრულად განწყობილი ძალიან ახლო მდებარე სასაზღვრო ქვეყნის მიმართ და რუსებს მიაჩნიათ, რომ ასეთი ფორმით მისი არსებობა ყოველთვის არის საფრთხის შემცველი.

ამიტომ, დღეს ისე მოქმედებენ უკრაინელი ლიდერები, თითქოს რუსეთის ინტერესებს ახორციელებენ და ეს ქმედებები უკრაინის სასიკეთოდ არ მიდის.

ქვეყანა აღარ არის. 44-მილიონიანი ქვეყანა მიწასთან არის გასწორებული. გენოფონდი აღარ არის და, რა თქმა უნდა, იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო სახელმწიფო, აღარ იქნება და საერთოდ, დასახელებით უკრაინა იქნება თუ არა ქვეყანა, აი, ეს დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

---

## უკრაინაში ომი სულ მცირე კიდევ ორი წელი გაგრძელდება!..

**ამერიკული** და სხვა დასავლური ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები ფიქრობენ, რომ უკრაინაში ომი სულ მცირე კიდევ ორი წელი გაგრძელდება. ამის შესახებ სადაზვერვო მონაცემებზე წვდომის მქონე წყაროებზე დაყრდნობით CNN-ი იტყობინება.

ზოგიერთი ამერიკელი და დასავლელი ოფიციალური პირი ფიქრობს, რომ საბრძოლო მოქმედებები შეიძლება კიდევ ხუთი წელი გაგრძელდეს. ამის გამო თეთრ სახლს სურს, მიაღწიოს უკრაინისთვის დაფინანსების გამოყოფას იქამდე, ვიდრე ჯო ბაიდენის საპრეზიდენტო ვადა დასრულდება. ევროპაში მომუშავე ამერიკელი სამხედრო ოფიციალური პირი მიიჩნევს, რომ ორი წლის შემდეგ უკრაინა მეორე მსხვილი კონტრიერიშის დაწყებას შეეცდება, რათა რუსული არმია ქალაქ მელიტოპოლიდან განდევნოს. როგორც CNN-ი იტყობინება, ამერიკული და სხვა დასავლური ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები არ ელოდებიან, რომ რომელიმე მხარე მიმდინარე წელს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს.




# ჩვენთან ინტერნეტიც კი ევროპის ქვეყნებზე ძვირია, ძვირი!

**100 მბ/წმ-იანი ფიქსირებული ინტერნეტი საქართველოში, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, 136%-ით, ხოლო 10 გბ. მობილური ინტერნეტი და 1 795 წუთი სასაუბრო დრო, 24 ევროპული ქვეყნის საშუალო ფასთან შედარებით, 35%-ით უფრო ძვირია.**

ეს შედეგები ევროკავშირის წევრი 22 ქვეყნისა და დიდი ბრიტანეთის ანალოგიურ მაჩვენებლებთან საქართველოს სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომელიც, კომუნიკაციების კომისიის დაკვეთით, 2023 წლის აპრილში ჩატარდა.

კომუნიკაციების კომისიის ცნობით, „ბენჩმარკინგის" კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში დაბალი მოცულობის და სიჩქარის მომსახურებები, როგორც მობილურ, ისე ფიქსირებულ ბაზარზე, კვლევაში შემავალი ქვეყნების ფასების თითქმის ანალოგიური ან უფრო იაფია. ხოლო რაც შეეხება მაღალი მოცულობის და სიჩქარის მომსახურებების ფასებს, ევროპული ქვეყნების საშუალოს მნიშვნელოვნად აჭარბებს.

კვლევის მიხედვით, მაღალი მოცულობის და სიჩქარის მომსახურებებზე მაღალი ფასები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრობლემურია, ვინაიდან, 2022 წლის მონაცემებით, მობილური ინტერნეტის მოხმარება მკვეთრად მზარდია და საშუალოდ 12 გბ-ს აღწევს. აქვე აღნიშნულია, რომ ციფრულ ეპოქაში ინტერნეტის მოხმარების ტრენდი მიმართულია მზარდი სიჩქარის და მოცულობის მოხმარებისკენ, რაც, 5G ინტერნეტის დანერგვასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება. ანალოგიური მდგომარეობაა ფიქსირებულ ინტერნეტმომსახურებებზე, ვინაიდან მომხმარებლების მიერ ონლაინში გატარებული დრო და სხვადასხვა მომსახურებების ონლაინმიღებაზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება, შესაბამისად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტმომსახურებების როლი აბონენტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რაც საქართველოში პრობლემას წარმოადგენს.

**„ვიდრე საქართველოში შენარჩუნდება მაღალსიჩქარიანი და მაღალი მოცულობის ინტერნეტის მაღალი ფასები, მომხმარებლები კვლავ იძულებული იქნებიან, აირჩიონ დაბალსიჩქარიანი და დაბალი მოცულობის მომსახურებები ან გადაიხადონ მნიშვნელოვნად მაღალი, პრემიუმ ფასები და ასე მიიღონ მაღალი სიჩქარე/მოცულობა"**, – წერია დასკვნაში.

**„ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე კი მდგომარეობა ასეთია: ფიზიკური პირი აბონენტებისთვის ოპტიკური ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე მოხმარებადი, 25 მბ/წმ-იანი ინტერნეტპაკეტის ფასი ევროპის ქვეყნების ანალოგიური მომსახურებების საშუალო ფასზე თბილისში – 5%-ით, ხოლო რეგიონებში 17%-ით იაფია. მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ინტერნეტზე კი საქართველოში ფასები, ევროპულთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალია. კერძოდ, 100 მბ/წმ-იანი ინტერნეტ პაკეტის ფასი ევროპის ქვეყნების ანალოგიური მომსახურებების საშუალო ფასზე 136%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში ოჯახების, საშუალოდ, 55% 100 მბ/წმ-იანი ან უფრო მაღალი ინტერნეტსიჩქარით სარგებლობს, მათგან 19 ქვეყანაში ოჯახების 40%-ზე მეტი აღნიშნული სიჩქარის ინტერნეტს იყენებს, საქართველოში კი აბონენტების მხოლოდ 1%-ს – 4 ათას აბონენტს აქვს 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტი, ვინაიდან მისი ფასი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, 136%-ით მაღალია.**

**რაც შეეხება იურიდიულ პირ აბონენტებს, მათთვის ფიქსირებული ინტერნეტმომსახურება უფრო ძვირია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. კერძოდ, იურიდიული პირებისთვის 10 მბ/წმ-იანი ოპტიკური ინტერნეტის ფასი საქართველოში ევროპის 23 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე თითქმის სამჯერ მაღალია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მაღალი მოცულობის ოპტიკური ინტერნეტი სტანდარტულ იურიდიულ შეთავაზებებში ხელმისაწვდომი საერთოდ არ არის.**

**კომბინირებული შეთავაზებების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ თბილისსა და რეგიონებში მცხოვრები ნახევარ მილიონზე მეტი ოჯახისთვის ინტერნეტისა და ტელევიზიის პაკეტებიდან ყველაზე იაფი პაკეტების ღირებულება ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, რასაც რეგიონების შემთხვევაში ოპერატორების მიერ შეთავაზებული სააქციო ფასები განაპირობებს. უფრო კონკრეტულად, კომბინირებულ შეთავაზებებში აბონენტებისთვის ტელევიზიის 20 არხისა და ოპტიკური 25 მბ/წმ-იანი სიჩქარის ინტერნეტპაკეტის ღირებულება, 24 ევროპულ ქვეყანასთან შედარებით, საქართველოს რეგიონებში – 43%-ით, ხოლო თბილისში 24%-ით უფრო ნაკლებია. ტელევიზიის 30 არხისა და 100 მბ/წმ-იანი მაღალი სიჩქარის ოპტიკური ინტერნეტპაკეტი კი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს რეგიონებში – 35%-ით, ხოლო თბილისში 30%-ით ძვირია"**, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ცნობით, კვლევა ბრიტანულმა კვლევითმა ორგანიზაციამ, Strategy Analytics-მა (Teligen, TechInsights) საერთაშორისოდ აღიარებული და აპრობირებული მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელა, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ არის შემუშავებული.

**„სწორედ ამ მეთოდოლოგიის მიხედვით, ევროპის ქვეყნებთან შესადარებლად გამოყენებულია ორი მსხვილს ოპერატორის, „მაგთიკომისა" და „სილქნეტის" მომსახურებების ფასები, ვინაიდან აღნიშნული კომპანიები ფლობენ საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის 70%-ზე მეტს და მომხმარებელს სთავაზობენ როგორც ფიქსირებულ, ასევე მობილურ ინტერნეტს. კვლევაში გამოყენებული მონაცემები კი, 2023 წლის აპრილის მდგომარეობით, საქართველოში არსებული შეთავაზებებიდან ყველაზე დაბალფასიანს ასახავს. ფასები მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტის (PPP) შესაბამისად არის დაანგარიშებული და წარმოდგენილია დოლარში.**

**ფასების შედარებით ანალიზში გამოკვეთილი შედეგების გასაუმჯობესებლად კომუნიკაციების კომისია სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის დასრულების შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, რათა ქართველ მომხმარებლებს, ევროპელი მომხმარებლების მსგავსად, ხელმისაწვდომ ფასად შეეძლოთ მაღალი მოცულობისა და სიჩქარის ტელეკომ მომსახურებებით სარგებლობა".**

# დამცავი ფარი

## აშშ-ის დახმარება ჯანდაცვაში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან

**თანამშრომლობის ბოლო თვალსაჩინო მაგალითები ასევე მოიცავს შემდეგს:**

- 2014 წელს საქართველო ერთ-ერთი პირველი შეუერთდა გლობალური ჯანდაცვის უსაფრთხოების დღის წესრიგს (GHSA) – გლობალურ ძალისხმევას, რათა მოხდეს ინფექციური დაავადებების საფრთხეების თავიდან აცილება, გამოვლენა და პასუხი. დღემდე GHSA-ს 70-ზე მეტი ქვეყანა შეუერთდა და საქართველო ლიდერია ბიოზედამხედველობის ტექნიკურ სფეროში;
- 2019 წელს საქართველომ ჩაატარა პირველი ერთობლივი გარე შეფასება (JEE), რომლის საჯარო შედეგებმა გამოავლინა ხარვეზები ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში. ამან ბიძგი მისცა იდეას, შემუშავდეს ჯანმრთელობის უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ხარვეზების აღმოფხვრაზე იქნება მიმართული და ჯანდაცვის საერთაშორისო რეგულაციებთან სრულ შესაბამისობას უზრუნველყოფს.
- 2023 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, ჯანდაცვის უსაფრთხოებისთვის ემსახურა აშშ-სთან ერთად, როგორც ინტენსიურ მხარდამჭერ პარტნიორ ქვეყანასთან. ზემოაღნიშნული წარმოადგენს კიდევ ერთ ნაბიჯს ინფექციურ დაავადებათა მართვის კუთხით თანამშრომლობისკენ, ჯანდაცვის საერთაშორისო რეგულაციების ეროვნული ვალდებულებებისა და GHSA 2024-ის მიზნებისადმი ერთგულების შესაბამისად.
- 2023 წლის სექტემბერში აშშ-ის CDC-მ და ჯანმო-მ მხარი დაუჭირეს ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს პირველ




პოლიტიკურ დიალოგს, როგორც კრიტიკულ ნაბიჯს საქართველოს სამინისტროებისა და სხვა პარტნიორების მოსაწვევად, წამოეწყოთ საქართველოს ჯანდაცვის უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება. მოუთმენლად ველით, საქართველომ უმასპინძლოს პირველ სემინარს და დაიწყოს ჯანდაცვის უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება.

DTRA აგრძელებს საქართველოსთან პარტნიორობას სამონიტორინგო აქტივობებით, როგორიცაა რეგიონული ჩართულობა კვლევებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობებში. საქართველო რეგიონული ლიდერია, რომელიც თავის ტექნიკურ გამოცდილებას უზიარებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას და აშშ-ის მთავრობა ამაყობს, რომ დგას ქართველი პარტნიორების გვერდით.

**– ამდენწლიანი პარტნიორობისა და ჩადებული რესურსის გათვალისწინებით, რომელი პროექტი (ან პროექტები) იწვევს თქვენში სიამაყის განცდას და რატომ?**

**–** არსებობს არაერთი შესანიშნავი მაგალითი, რომელიც ხაზს უსვამს აშშ-სა და საქართველოს შორის ჯანდაცვის კუთხით არსებული პარტნიორობის მნიშვნელობას. მაგალითად, COVID-19-ის პანდემიის – თანამედროვე ეპოქაში ჯანმრთელობის ამ უდიდესი საფრთხის დროს საქართველომ მასზე მძლავრი რეაგირება მოახდინა. ამან ხაზი გაუსვა იმ ქართული ინსტიტუტების წარმატებას, რომლებიც ჩვენთან პარტნიორობით მუდმივად ვითარდებიან.

2021 წლის ივლისში აშშ-ის მთავრობამ CDC-ის შუამდგომლობით „Pfizer" ვაქცინის 500 000 დოზა გადასცა საქართველოს, რის შედეგადაც ვაქცინაციათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საკუთრივ USAID გადაუდებელ დახმარებას უწევდა საქართველოს 2020 წლის პანდემიის პირველი თვეებიდან. მან 5 მილიონი აშშ დოლარის მობილიზება მოახდინა დიაგნოსტიკის, ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციის საკითხებში გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამას მოჰყვა 2021 წელს 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მეორე ტრანშიც საქართველოს მთავრობის PROVAX-ის კამპანიის მხარდასაჭერად, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ვაქცინაციის პოპულარიზება და საინფორმაციო ბრძოლა მის საწინააღმდეგო მითებთან. USAID-ის დახმარებამ ასევე გააძლიერა COVID-19–ის საწინააღმდეგო ვაქცინაზე წვდომა, მათ შორის - მცხეთასა და რუსთავში მასობრივი ვაქცინაციის ორი ცენტრის ფუნქციონირების მხარდაჭერით, სოფელ მუხრანში პირველადი ჯანდაცვის კლინიკის ვაქცინაციის განყოფილების დაარსებით, ასევე მიუწვდომელ ადგილებში პაციენტებთან მისასვლელად მობილური ვაქცინაციის ორი კლინიკის ფუნქციონირების ხელშეწყობით.

მთელი პანდემიის განმავლობაში CDC მხარს უჭერდა COVID-19-ის მონიტორინგსა და კვლევას. საქართველოს FETP-ს კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ კონტაქტების მოკვლევისა და საყოფაცხოვრებო გადაცემის გამოკვლევებში.

COVID-19-მა უბიძგა საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემას, კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა მიდგომა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენისა და მათზე რეაგირების მიმართ. COVID-19-თან დაკავშირებულმა ძალისხმევამ გამოიწვია ახალი პროცესების გამოყენება მომავალი მწვავე რესპირატორული და გრიპის მსგავსი დაავადებების გამოსავლენად. ამის კიდევ ერთი ინოვაციური მაგალითი იყო CDC-ს მხარდაჭერა ლუგარის ცენტრის სამუშაო პროცესების გამარტივებაში, რათა უზრუნველყოფილიყო გენომის უფრო სწრაფი ანალიზი და მაღალი ხარისხის მონაცემები. ეს საშუალებას აძლევს ექსპერტებს, თვალყური ადევნონ ინფექციური დაავადებების საფრთხეების ცვლილებებს, რათა უკეთ მოახდინონ მიდგომებისა და ინსტრუმენტების იდენტიფიცირება, მათ შორის - ჩამდინარე წყლების ზედამხედველობის სისტემების გამოყენების კუთხით.

სადღეისოდ აშშ-ის მთავრობა და მისი ქართველი პარტნიორები იყენებენ პანდემიის დროს მიღებულ გაკვეთილებს ლუგარის ცენტრში საუკეთესო გენომური გამოცდილებების ცენტრის შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგებს, მენტორობას და ტექნიკურ მხარდაჭერას მთელი რეგიონის მასშტაბით.

ანალოგიურად, USAID-სა და ჯანმო-ს COVID-19–ზე რეაგირების მიმდინარე პროგრამაც ორიენტირებულია მონაცემთა უსაფრთხოებაზე და რეალურ დროში ანალიზზე. ამასთან ერთად, ვაქცინაციის ადგილებზე პროგრამა აუმჯობესებს სამედიცინო ნარჩენების მართვის პროცედურებს და ხელს უწყობს საქართველოში სამედიცინო ნარჩენების არასათანადო მოპყრობასა და მართვასთან დაკავშირებული ზიანის შემცირებას.

პროგრამის ფარგლებში 600,000 აშშ დოლარის ღირებულების აღჭურვილობა და მარაგი ქვეყნის მასშტაბით 1,100-ზე მეტ სოფლის ამბულატორიაში განაწილდა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო უსაფრთხო სამედიცინო ნარჩენების პრაქტიკა. პროგრამა ასევე ახდენს საქართველოს ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემის (HIS) ოპტიმიზაციას ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემებისა (GIS) და მონაცემთა ვიზუალიზაციის შესაძლებლობების გაფართოებითა და HIS სისტემის კიბერუსაფრთხოების გაძლიერებით.

**იქნება ეს ლუგარის ცენტრის დაარსება და ის, რომ სადღეისოდ ჩვენი ქართველი პარტნიორები ხელმძღვანელობენ მისი, როგორც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ქვაკუთხედის მუდმივ განვითარება-გაფართოებას; თუ მსოფლიოში პირველი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა; ან მძლავრი რეაგირება COVID-19-ის პანდემიაზე, – ნამდვილად შეგვიძლია, ვიამაყოთ ამ ძალისხმევით.**

დასასრული. დასაწყისი №6-7



# ოთარ იოსელიანის „პასტორალი“, ანუ ბუნებასთან გაუცხოება




„...**თავისი ბრწყინვალე ცოდნის მიუხედავად იგი** (ფსიქიატრი **ჯენი** – შენიშვნ. ჟ. ს.) გარკვეულწილად სულიერად გაუნათლებელი ჩანს (...) ჯენი ყოველთვის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველი – ყველია, მაგიდა – მაგიდაა, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანი – ადამიანი“ (ი. ბერგმანი, „პირისპირ“). მე კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ოთარ იოსელიანის შემოქმედების შეფასება ინგმარ ბერგმანის სიტყვებით იგივეა, პოეზიაზე მათემატიკური ფორმულების მოშველიებით ისაუბრო, მაგრამ ერთი რამ კი უდაოა, ი. ბერგმანის სიტყვები ზუსტად ესადაგება „პასტორალში“ ასახულ მუსიკოსთა **„ბრწყინვალე ცოდნის მიღმა მდგარ სულიერ გაუნათლებლობას.“** (ი. ბერგმანი).

ამ სულიერი გაუნათლებლობის გამოა, რომ ისინი უნებოდ, უსიყვარულოდ, რაღაც მოვალეობის გამო, მექანიკურად უკრავენ თავიანთ რეპერტუარს – კლასიკურ მუსიკას. ამის გამოა, რომ არა მარტო უცვლელად მეორდება რეპერტუარის დრო, არამედ ზუსტად მეორდება მეცადინეობის განწყობაც. ეს ნიშნავს, რომ ისინი უკრავენ ზედმიწევნითი გულგრილობით, რომელშიც მათი პიროვნული „მე“ არ მონაწილეობს. მუსიკა – ეს კოსმოსის ჰარმონიაა, ღმერთისა და სიყვარულის ენა, მაგრამ თუ მისგან გაუცხოვდი, თუ აღარ ისმინება ღმერთის ხმა, სიყვარულიც ქრება, შესაბამისად, აღარც სათნოება და უანგარო ურთიერთობები არსებობს. ოთარ იოსელიანი თავისი საყვარელი ჟანრისადმი – კომიკური დრამა – ერთგულებას ამ ფილმითაც ინარჩუნებს. ამაზე მეტყველებს მისი ამბივალენტურად წაკითხვადი სათაური – „პასტორალი“, როგორც ბუნების წიაღში იდილიური ყოფა, ბუნების ხმასა და მის ჰარმონიასთან თანაზიარობა. ხოლო მეორე მხრივ, ეს არის ირონიული დამოკიდებულება იმ სინამდვილისადმი, რომელიც თანამედროვე ეპოქის სულისკვეთებას შეაქვს სოფელში. ამიტომაც სათაური წარმოითქმება ხაზგასმული, ირონიული ინტონაციით. ფილმში მეგრული ენა გამოყენებულია, როგორც იმ აბსურდულობის პირობითი ნიშანი, რომელიც ასე ნიშნეულია თანამედროვე ეპოქისათვის – გაუცხოება საკუთარი თავისა და სხვა ადამიანებისაგან. მეგრული ენა არ იცის მაყურებელმა, მაგრამ ეს ენა არ იციან თავად მასზე მოსაუბრე პირებმა. რადგან ის (რეჟისორის მინიშნებით) განგებ დაუშნოებულია და დაცლილია მუსიკალურობისა და ჰარმონიისაგან. ამიტომაც, ამ ფილმისთვის ნიშნეული და უმთავრესია – დუმილის საშიში ფენომენი. მორის მეტერლინკი წერდა: „საშიშია გაჩუმება იმ ადამიანების წინაშე, ვისაც ჩვენ არ ვიცნობთ და არ გვიყვარს.“

ფილმის უსიყვარულო და გაუცხოებული ადამიანები პირქუშ და დაჭიმულ ატმოსფეროს ქმნიან. თავზარდამცემია, რომ ამ ფილმით სულიერ სიცარიელეს არა მარტო ვხედავთ კინოკადრების მეშვეობით, არამედ ვისმენთ მას. მისი სახელი ანგარებაა, როგორც უსულობის თანამდევი რამ. ედუკის სიწმინდე – ბუნების სახე, ქალწულებრივი მიამიტობა, სიწრფელე, სილაღე, თავისუფლება, უანგარობა, სიბრძნე – კონტრასტს ქმნის მუსიკის გულგრილად შემსრულებლებთან, ამ ხელოვნურ ადამიანებთან. საგულისხმოა ის კადრები, როცა მუსიკოსები ავტობუსით მიემგზავრებიან, ედუკი კი ბუნების ხმის მიყოლით – მოკლედ გადაჭრის გზას. ის ფეხით უკვე მივიდა იქ, სადაც მუსიკოსები, თანამედროვე ეპოქის გაუცხოებული ადამიანები, ავტობუსით უფრო მოგვიანებით ჩამოივლიან. ედუკი ამაღლებულ გორაკზე დგას (ამით რეჟისორი თითქოს მის აღმატებულ და უცვლელ სიდიდეზე მიანიშნებს) და მათ ხელს უქნევს. ეს ბუნება ესაუბრება მათ და ცდილობს, ამ ჟესტით თავი შეახსენოს.

ეპილოგში ედუკი ფაქიზად იღებს ხელში, როგორც უძვირფასეს განძს, მუსიკოსების მიერ დატოვებულ ფირფიტას და, მისდა განსახიბვლელად კი საპარადო, იაფფასიანი მუსიკა შერჩება ხელთ. და მყის მისი ილუზიაც ქრება, რომ ღვთაებრივი მუსიკა, რომელსაც სოფელში ჩამოსული მუსიკოსები ასრულებდნენ, მათი სულის ხმა იყო – მათი დაფარული საგანძური. ეპილოგის მეორე ნაწილში ხელახლა იჩენს თავს მუსიკოსების სულიერი სიღატაკე. სახლის შემოსასვლელ ოთახში (ფართო პლანი) მივიწყებული, უსარგებლო ნივთივით უდიერად მიგდებულია კალათი, რომელშიც ტალახის შხეფებით დაბინძურებული ვაშლები აწყვია. ეს ქალწული ედუკის – ბუნების უძვირფასესი ძღვენია მუსიკოსებისადმი – თანამედროვე ადამიანებისადმი. ეპილოგშივე მოჩანს სოფლიდან ჩამოსული ქალიშვილი მუსიკას რომ უკრავს, როცა მამა სახლში ბრუნდება. აქ მუსიკა, სამყაროს ღვთაებრივი ენა, მუსიკოს – ქალიშვილის ხელში უწონადოდ ქცეულა. რადგან მუსიკა მისთვის მხოლოდენ საშუალებაა, რათა ისევ და ისევ სხვად იქცეს. არ ჰქონდეს ურთიერთობა მამასთან, რომელსაც სავარაუდოდ ენატრება და სურვილი აქვს მოინახულოს გვერდითა ოთახში „მუზიცირებით შეპყრობილი“ შვილი, თუმცა ამაოდ.



**ჟაკლინ სირაძე**

**მწერალი, ლიტერატურათმცოდნე.**

**(გაგრძელება იქნება)**

**დასასრული. დასაწყისი №5**








# „უფლისციხის“ მემატიანის დავით ხახუტაიშვილის პატივგება

**შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ინიციატივით, დიდი მეცნიერის, ისტორიკოსის, არქეოლოგის, დავით ხახუტაიშვილის (1924-1999), დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, სამუზეუმო და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები, დავით ხახუტაიშვილის ოჯახის წევრები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.**

საზეიმო ღონისძიების მიმდინარეობისას გაიმართა დავით ხახუტაიშვილის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული სამეცნიერო კატალოგის, „უფლისციხის“, პრეზენტაციაც. საზოგადოებამ მოისმინა ერმინე მაღრაძის მოხსენება – „ძვ. წ. IV-III საუკუნეების საოქრომჭედლო ხელსაწყო უფლისციხის ნაქალაქარიდან“ და ნახა ამ ნივთის შესახებ ჩატარებული ცდის ამსახველი ფილმი.

გაიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის საგამოფენო დარბაზში არსებული არქეოლოგიური არტეფაქტების გამოფენის შეცვლის პროცესის ამსახველი ფილმის ჩვენებაც.




**დავით ხახუტაიშვილი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა თავის სფეროს და სამეცნიერო საქმიანობაში გზა გაუკვალა არაერთ პროფესიონალს. 1954-95 წლებში იგი იყო ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1977 წელს – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე და განყოფილების გამგე, 1978-1999 წლებში – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. დავით ხახუტაიშვილი 1949 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 1967 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „უფლისციხე და იბერიის ისტორიის საკითხები“.**

გამოაქვეყნა 120 სამეცნიერო წერილი და გამოსცა 10-ამდე წიგნი. მის მიერ გამოცემულმა ნაშრომებმა ბევრ მკვლევარს საშუალება მისცა, სხვა თვალით დაენახათ უფლისციხე და წამოეჭრათ ახალი საკვლევი საკითხები. დავით ხახუტაიშვილი დაჯილდოებული იყო ღირსებისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, იყო ბათუმის საპატიო მოქალაქე.

**გარდა ცნობილი მეცნიერის ღვაწლის წარმოჩენისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამართული ღონისძიების მიზანი იყო უფლისციხის, როგორც კლდეში ნაკვეთი ქალაქის პოპულარიზაცია და ამ უძველესი ძეგლით ტურისტების დაინტერესება, შიდა ქართლის რეგიონის არქეოლოგიური და უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა, სამეცნიერო კვლევებისადმი ახალგაზრდების ინტერესის გაზრდა.**

# ანტირეკორდი



## ზემო სვანეთი გარდაუვალი ენერგეტიკული კოლაფსის წინაშეა!

**16 იანვარს მესტიაში ელექტროენერგიის მოხმარების ისტორიული რეკორდი დაფიქსირდა. პირველად, დღიურმა მოხმარებამ 500 ათასი კილოვატსაათი შეადგინა,** – იუწყება სს **„ენერგო-პრო ჯორჯიას“** პრესსამსახური.

**ინფორმაციისთვის: წლებია ზემო სვანეთში უკანონო მაინინგის პრობლემა დგას. მესტიას მაღალმთიანი სტატუსი აქვს და ელექტროენერგიის მოხმარება უფასოა.**

16 იანვარს სრულად „ენერგო-პროს“ აბონენტეთა მოხმარებულმა ელექტროენერგიამ 14 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. აღნიშნული 14 მილიონი კილოვატსაათი მოიხმარეს ყველა კატეგორიის მომხმარებლებმა, მათ შორის დიდმა კომერციულმა თუ საბიუჯეტო აბონენტებმა, ხოლო მხოლოდ მოსახლეობამ მოიხმარა დაახლოებით 6 მილიონი კილოვატსაათი.

**„გთხოვთ, ყურადღებით დავაკვირდეთ რიცხვებს, ჩვენს არეალში არსებული 56 ქალაქის თუ რაიონული ცენტრის, 35 დაბის და 3100 სოფლის, 1 მილიონმა მოსახლემ მოიხმარა 6 მილიონი კილოვატსაათი, ანუ დედაქალაქისა და ოკუპირებული რეგიონების გარდა, სრულიად საქართველოს მოსახლეობამ მოიხმარა 6 მილიონი კილოვატსაათი და მათ შორის ნახევარი მილიონი მოიხმარა ზემო სვანეთის 3 000-მა მომხმარებელმა“** – განაცხადა „ენერგო-პრო ჰოლდინგის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ **მიხეილ გოცაძემ** და განაგრძო, **„რა თქმა უნდა კომენტარი ზედმეტია, მხოლოდ კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ნადგურდება რეგიონის ელმომარაგებისთვის არსებული ინფრასტრუქტურა, მატულობს ავარიული გათიშვების ოდენობა და სამწუხაროდ ეს შეუქცევადი პროცესია, მატულობს ხანძრების რისკი, იზრდება რეგიონის ხანგრძლივი შეზღუდვის რისკები. თუმცა, ამის პარალელურად, თითქოს შესაძლებელი ყოფილა ხაზების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება, უნდა მოხდეს უფრო მეტი ინვესტირება და ქსელზე ახალი მომხმარებლებიც კი უნდა დავიერთოთ, რა თქმა უნდა, ღიმილის მომგვრელია ეს ყოველივე, თუმცა ამ უმძიმეს ვითარებაში გვიწევს ოპერირების გაგრძელება“:**

**„ალბათ, თუ რაიონმა მოიხმარა, 15 უფრო დიდი რაიონის ტოლფასი ელექტროენერგია, კიდევ ისე უნდა გაძლიერდეს ქსელი რომ 30-40 რაიონის მოხმარება მოხერხდეს!.. ეს ხომ არ არის პრობლემის გადაწყვეტის გზა? აგრეთვე, რა თქმა უნდა, ვცდილობთ, ჩვენს ბაზაში არსებულ აბონენტებს დროულად და ხარისხიანად გავუგზავოთ სმს-ები, ავარიული გათიშვების თუ გეგმიური შეზღუდვების შესახებ“.**

ის პასუხისმგებლობას არაკეთილსინდისიერ მომხმარებლებს აკისრებს:

**„რაც შეეხება რეალურ საქმეს, თუ მართლაც მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებს, ალბათ აუცილებელია გაანალიზდეს სამწუხარო, თუმცა სავსებით შესაძლო სცენარი – დავუშვათ მესტიაში ფიქსირდება მინუს 20-25 გრადუსი; ელექტროენერგიის იმედად, ოჯახების უმეტესობას, როგორც წესი, არ აქვს მომარაგებული შეშა; რეგიონში არ არსებობს გაზმომარაგება; დიდთოვლობის გამო ზოგიერთი მიმართულებით ჩახერგილია გზები და ამ დროს 1-2 სრული დღით ან უფორ მეტი ვადით წყდება ელექტროენერგიით მომარაგება. ამ შემთხვევაში რა ხდება? არის მესტია მზად ამისთვის? რა შედეგი შეიძლება დადგეს? რა თქმა უნდა, ყოველ ზემო აღნიშნულ საფრთხეზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ არაკეთილსინდისიერ მომხმარებელს, რომლებიც ბოროტად იყენებენ იმ დიდ სიკეთეს რაც აქვს მესტიის მოსახლეობას უკვე მრავალი წელია ენერგო-პროსგან, უფასო ელექტრომომარაგებას ვგულისხმობ და ამ მიმართულებით ზემო სვანეთში დალექილია კომპანიის 60 მილიონი ლარი“.**

რაც შეეხება გამოსავალს, მისი თქმით, ეს არსებობს და ამბობს, რომ კომპანიის მიერ ოპერაციათა სრულად წარმოების შემთხვევაში, 1 წელიწადში მესტიაში დაიწყება მდგომარეობის გაუმჯობესება, დარეგულირდება მიწოდებული ელექტროენერგიის ყველა პარამეტრი, შემცირებას დაიწყებს ავარიული გათიშვების ოდენობა, მესტიის მოხმარება გახდება გონივრული და ამ ყველაფრით „რეგიონს თავიდან ავაცილებთ გარდაუვალ ენერგეტიკულ კოლაფსს“:

**„ეს გამოსავლები პირველ რიგში სჭირდება მესტიის კეთილსინდისიერ მომხმარებლებს, ზოგადად მთელს ზემო სვანეთს და არა ენერგო-პროს. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ მზადყოფნას კვლავ ვადასტურებთ დავიწყოთ შესაბამისი ცვლილებები“**, – აცხადებს „ენერგო-პრო ჰოლდინგის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ გოცაძე.**

## ჯიღაურას ხეხილოვანი კულტურების კოლექციას ხეხილის 12 ნიმუში დაემატა

**სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე, დღეისათვის, უკვე 26 კულტურის 490-მდე ჯიში, ფორმა და ნიმუშია დაცული, საიდანაც 220 ადგილობრივი და 252 ინტროდუცირებულია. ადგილობრივი და ინტროდუცირებული ხეხილის 12 ახალი ნიმუშიდან 4 ქლიავი, 3 ფსტა, 3 ტყემალი და 2 გოჯი ბერია.**

ახალი და ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაციის, ინტენსიური ტიპის სხვლა-ფორმირების პროგრესული ხერხების ფერმერულ მეურნეობებში გავრცელების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახური აქტიურად ატარებს სემინარებსა და ტრენინგებს, გამოსცემს სამეცნიერო ლიტერატურას. სამსახურის მიერ, 2023 წელს, ფერმერებისთვის ონლაინ და საველე სემინარ-ტრენინგები, სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მიზნით, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის კი საველე დღეები მოეწყო; გამოიცა და გამოსაცემად მომზადდა პუბლიკაციები, მათ შორის, უცხოურ გამოცემებში.

## გურიაში უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს ეხმარებიან

**გურიაში უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლებმა გასვლითი სამუშაო შეხვედრა გამართეს.**



შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის გაცნობა, რომლის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით 1000-მდე ოჯახს სახელმწიფო ახალ საცხოვრებელ ფართს გადასცემს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 1000-მდე სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლებსაც 3 ან მეტი არასრულწლოვანი ჰყავთ საცხოვრებელი ფართი გადაეცემათ. პროგრამა 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება და მისი ჯამური ბიუჯეტი 50 000 000 ლარს შეადგენს.

# დასაქმებულებს ხელფასის ზრდის მოლოდინიც კი არა აქვთ!

**ეროვნულმა ბანკმა ინფლაციური მოლოდინისა და ეკონომიკური აქტივობის შესახებ ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა და გაირკვა, რომ გასული წლის ბოლოს ხელფასების მატებასთან დაკავშირებული მოლოდინი შემცირებულია. ეს იმის მანიშნებელია, რომ ბიზნესი და დასაქმებულები გარკვეულ უსიტყვო შეთანხმებამდე მივიდნენ.**

სებ-ის კვლევის მიხედვით, დაკლებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ხელფასების მატებას 10-20%-ის ფარგლებსა და 30%-ზე მეტად ფიქრობენ. მეორე მხრივ, მომატებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ხელფასების ზრდას დაახლოებით 10%-ის ფარგლებში ელოდებიან.

კადრების მწვავე დეტიფიცის ფონზე, ბიზნესმა საკუთარი პრობლემის გამოსწორება, ასე თუ ისე, დაიწყო და თანამშრომლებს ხელფასი გაუზარდა. კერძო სექტორი ამ გზით მუშახელის შენარჩუნებას ცდილობს.

როგორც საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელი **მიხეილ ჭელიძე** აცხადებს, მიმდინარე ეტაპზე დასაქმებულთა მხრიდან ხელფასების ზრდის კრიტიკული მოთხოვნა



თითქმის აღარ არსებობს.

**„ბიზნესსექტორში ხელფასების ზრდის მოთხოვნა ნაწილობრივ შემცირებულია. მოცემულ მომენტში ისეთი კრიტიკული მოთხოვნა აღარ არის, როგორიც ადრე იყო. ბიზნესი გადაეწყო, მაგრამ პრობლემა მაინც რჩება.**

**ბიზნესს რა შესაძლებლობებიც აქვს, იქიდან გამომდინარე მოქმედებს. ტენდენციას თვალს თუ გადავავლებთ, ვნახავთ, რომ კერძო სექტორში ანაზღაურება ყოველწლიურად იზრდება და ერგება საბაზრო პირობებს“,** – აღნიშნა **ჭელიძემ.**

სებ-ის ანგარიშის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა მიხედვით, დეკემბერში ნოემბერთან შედარებით, ინფლაციური მოლოდინი შემცირებულია. კერძოდ, მნიშვნელოვნად დაკლებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მომდევნო 1 წლის მანძილზე ფასების ზრდას 6%-8%-ის ფარგლებსა და 8%-ზე მეტად ზრდას ფიქრობენ.

ამის საპირისპიროდ, გაიზარდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც სამომხმარებლო ფასების ცვლილებას 0%-თან ახლოსა და 2%-ის ფარგლებში ელოდებიან.

ამავე გამოკითხვის მიხედვით, დეკემბერში ნოემბერთან შედარებით, სამწლიან პერიოდზე ინფლაციური მოლოდინი შემცირებულია. კერძოდ, ნოემბერთან შედარებით, დაკლებულია იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც ფასების ცვლილებას 6-8%-იან ზრდის ინტერვალსა და 8%-ზე მეტად ელოდებიან. ამის საპირისპიროდ, მომატებულია იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც მომდევნო სამი წლის მანძილზე საშუალოდ ფასების ზრდას 2-4%-ის ფარგლებსა და 4-6%-ის ფარგლებში ფიქრობენ. გამოკითხულთა აზრით, საკუთარ პროდუქციაზე ფასების ზრდის მოლოდინი 1-წლიან პერიოდში დაკლებულია.

დეკემბერში ნოემბერთან შედარებით შემცირდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც საკუთარ პროდუქტზე ფასების მატებას 4%-6%-ის ფარგლებსა და 8%-ზე მეტად მოიაზრებენ. მეორე მხრივ, გაიზარდა.

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღამსრულებელი დირექტორი **ლევან ვეფხვაძე** ამბობს, რომ ანაზღაურება შესაძლოა, რაღაც დოზით კიდევ გაიზარდოს, მაგრამ ეს ყველაფერი საბოლოოდ პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება და ინფლაციაში გადაიზრდება. ამის გამოცდილება ქვეყანამ ბოლო წლებში უკვე მიიღო.

**„ხელფასი ბიზნესისთვის განიხილება, როგორც დანახარჯი, რომელიც, საბოლოო ჯამში, უნდა შევიდეს პროდუქტის, მომსახურების ღირებულებაში. შესაბამისად, თუკი ანაზღაურების ზრდა გაგრძელდება, ეს ნიშნავს, რომ იძულებულნი იქნებიან შემდეგ ასახონ პროდუქტის თვითღირებულებაში და ფასმა მოიმატოს. გარკვეულწილად, სწორედ, ეს ქმნის ზედა ზღვარს, რომელიც ხელფასების მუდმივ ზრდას ვერ უზრუნველყოფს. პროდუქციაზე ფასები ისედაც ძალიან გაზრდილია, ინფლაციის ძალიან მნიშვნელოვანი ტალღა გავიარეთ. ხელფასი ზღვრულად შესაძლოა, გაიზარდოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი დიდხანს გასტანს“,** – განაცხადა **ლევან ვეფხვაძემ**.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, რეგიონებს შორის თბილისი ლიდერობს. ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით კი ასე ნაწილდება: **თბილისი – 64.2%. აჭარა – 9.4%, იმერეთი – 7.1%, ქვემო ქართლი – 6%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6%, კახეთი – 2.9%, შიდა ქართლი – 2.3%, მცხეთა-მთიანეთი - 1.6%, სამცხე-ჯავახეთი – 1.5%, გურია – 1%, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 0.3%.**

**ბექა დანელია**



ამ სტრიქონების ავტორი ჩვენი გაზეთის უიშვიათესი მეგობარი, ვეტერანი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ცნობილი სამეურნეო და სახელმწიფო მოღვაწე ლორენცო შარანგიაა. ის საყოველთაო კოლხი ქართველია — ცოტა რაჭველი — გვარის ფუძე (შარაბიძე), ცოტა მეგრელი, ცოტა სვანი, ცოტა აფხაზი (მეუღლითა და ცნობიერებით)...

დაიბადა და გაიზარდა ოჩამჩირეში...

# აფხაზებო და ქართველებო, გვიყვარდეს ერთმანეთი, შევუნდოთ ერთმანეთს!

„აფხაზეთის ტრაგედიამ შეძრა ყველა და ყველაფერი. ბევრი დაიღუპა, ბევრმაც საყრდენი დაკარგა, დაეცა და მხოლოდ მცირეოდენმა თუ მოახერხა ფეხზე წამოდგომა... ღმერთმა არ ისურვა ჩემი ოჯახის დაცემა, დაგვიფარა თავისი კეთილმოწყალებით და გაგვამრავლა. ჩვენს მხსნელად უფალმა ჩვენი მეორე ვაჟი აირჩია, რომელსაც აწ განსვენებული ჩემი ძმის ხსოვნის პატივსაცემად რეზო შევარქვით. მადლობა შვილს, ძმას კი — სამარადჟამო ხსოვნა ჩემს შთამომავლობაში“, — წერს ლორენცო შარანგია თავის ახალ წიგნში „გიყვარდეთ ერთმანეთი“.

ლორენცოს დახვეწილი ქართულით შექმნილი ნააზრევი, ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები გამოირჩევა დოკუმენტური ფაქტების სიმრავლით, საქართველოს უახლესი ისტორიის ღრმა ცოდნით, აფხაზეთის ტრაგედიის მიუკერძოებელი შეფასებით, დაპირისპირებულ მხარეთა კრიტიკითა და თვითკრიტიკით.

შარანგიების დიდი ოჯახი ვიდრე სოხუმს დატოვებდა, ბატონი ლორენცო იყო მთელს აფხაზეთში ცნობილი სამეურნეო მუშაკი, პროფესიონალი მენეჯერი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროს ღირსეული თავკაცი. მერე ერთხანს რუსეთში გადაბარგდა და იქაც გორბაჩოვის, ელცინისა და პუტინის მთავრობების ზომიერი კრიტიკით გამოირჩეოდა. ლორენცო შარანგია უშიშარი კაცია, უაღრესად განათლებული, ცხოვრებისგან დაბრძენებული. მის მართალ სიტყვას დიდი ფასი აქვს. ასე იყო 50 წლის წინათ, ასეა ახლაც.

* * *

პუბლიცისტის შესანიშნავი წიგნიდან დღეს „დაუვარცხნელ აზრებს“ გთავაზობთ.

მკითხველმა თავად განსაჯოს, როგორი მიწიერი და ზეციური სიბრძნის პატრონია ქართული ჟურნალისტიკის ეს უბერებელი ბერმუხა (ლორენცო შარანგიას ახლახან 89 წელი შეუსრულდა).

ლორენცო შარანგიას კარგ კაცობაზე, სიკეთესა და აფხაზეთის გაუნელებელ სიყვარულზე ის ფაქტიც მოწმობს, რომ შესანატრ ქველმოქმედებას ეწევა. რამდენიმე წლის წინათ მან თბილისში საოცარი ენთუზიაზმით, სხვა დევნილ მამულიშვილებთან ერთად წამოიწყო აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში წამომართული ილორის ისტორიული ტაძრის თითქმის იდენტური წმინდა გიორგის სახელობის ღვთის სახლის აგება, რომელიც დღეს უკვე მოქმედი ეკლესია და საგანმანათლებლო ცენტრია და რამდენიმე თვეში დასრულებული სახით წარსდგება აფხაზეთიდან დევნილი მრევლის და თბილისელების წინაშე...

თბილისელებს გულწრფელად ვთხოვთ, დედაქალაქში, დიდუბის რაიონში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარედ წამომართულ ულამაზეს ილორის ტაძარში მიბრძანდნენ და გულით ილოცონ აფხაზეთის და აფხაზების დაბრუნებისთვის. ლოცვას ხომ დიდი ძალა აქვს! შენდობას, მიტევებას, უფლის გზით სიარულს — მით უმეტეს!..

**მთავარი რედაქტორი**

# დაუვარცხნელი აზრები

● ჭეშმარიტების ძიება სწორედ უფლის ძიებაა.

● ღმერთისკენ მიმავალი გზა გრძელიცაა და რთულიც, მაგრამ მისი გავლა საჭიროა. სხვა გზა არ არსებობს.

● თუ ადამიანი გამუდმებით ზემოთ, ღმერთისკენ არ მიისწრაფვის, საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი, თავისსავე ინსტიქტებზე დამოკიდებული ხდება და შინისკენ, ცხოველებისკენ მიექანება.

● ცხოვრება ბრძოლაა... საკუთარ თავთან.

● კაცობრიობის მთელი ისტორია გვარწმუნებს, რომ მისი მთავარი მახასიათებელი შეშლილ-შერეკილობაა.

● სიბრძნე მრავალსახოვანია და მასში ერთ-ერთი მთავარი სიკვდილის გარდუვალობის შეგნება, მისთვის მზადებაა.

● ბედნიერების გასაღები საფულეში ნამდვილად არ ძევს — ის სიბრძნის, ზნეობის, აღზრდის სფეროში ინახება.

● კარგი კაცი სიკეთეს იმახსოვრებს, ცუდს ივიწყებს, ბილწი კი — პირიქით.

● წლებთან ერთად ადამიანს ძალა, სიმარდე, სილამაზე აკლდება... თუ ეს თანამდევი დანაკარგები სულიერებითა და სიკეთით არ შეივსო, ადამიანი ცარიელდება.

● ზედმეტი კატეგორიულობა ვერ იქნება სიბრძნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ნიშანი.

● სამყარო ერთგვაროვანი როდია. რაც თეთრი არ არის, ის სულაც არ არის შავი. მათ შორის კიდევ უამრავი ფერია.

● ჯიბე თუ შეგითხელდა, გულზე მოგეშვება.

● ავადმყოფობები პატარ-პატარა გაჩერებებია, რომლის დროსაც გვეძლევა დრო ბოლო სადგურზე ვიფიქროთ.

● მოძრაობაზე უფრო საიმედო მეგობარი არ გვყავს.

● ჯანმრთელობას რომ ძალისხმევა, ცოდნა და მსხვერპლი არ სჭირდებოდეს, მისი ფასი გროში იქნებოდა, ახლა კი შეუფასებელია.

● ჯანმრთელობის ყველაზე დიდი მეგობარი და ყველაზე დიდი მტერი კუჭია.

● ხანდახან ტყუილი უფრო ჰგავს სიმართლეს, ვიდრე თავად სიმართლე.

● სიმართლე რომ მოისმინო, ამისთვის, სმენის გარდა, სიმამაცეც უნდა გქონდეს.

● ჩემი შვილებიდან რომელია ჩემზე დიდი? — ვინც გაჭირვებულ დევნილებს ჩემზე მეტი სიკეთე გაუკეთა.

● ქალმა ქვეყანა, ოჯახი იშვიათად უნდა მართოს, ატარე ქალი ხელით, მხრებით, მაგრამ თავზე არ დაისვა! ყურადღება მიაქციეთ: რუსეთმა ორი კატასტროფა განიცადა ნიკოლოზ II-სა და მ. გორბაჩოვის დროს. ორივეს ცოლი მართავდა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა — თუნდაც, ზვიად გამსახურდიას მმართველობის ხანა გავიხსენოთ.

● ცუდია, როცა მამაკაცი ცოლის გარეშე კარგად არის.

● ღმერთმა კაცი — ადამი მიწისგან შექმნა. ხომ შეეძლო, მისი ცოლი, პირველი ქალი ევაც მიწისგან შეექმნა. მაგრამ არა: ის მან მამაკაცის ნეკნიდან შექმნა, რითაც ქმართან დამოკიდებულებაში მისი ადგილი სამუდამოდ განსაზღვრა.

● ქალი, ცოლი ყველაზე „ჭკვიანური“, „ბრძნული“ აზრების წარმოთქმითაც კი ვერასოდეს მიაღწევს იმ სიმყუდროვეს, ჰარმონიას, სიყვარულს, რომელსაც მოიპოვებს დუმილით, მოთმინებით, მოკრძალებით, სიკეთით, შემწყნარებლობით.

● ბედნიერების საიმედო საყრდენი სიბრძნეა, სიბრძნისა კი — მოთმინება.

● საერთოდ, სიყვარული, მით უმეტეს კი სამშობლოსი, როგორც რწმენა, ქმედითი უნდა იყოს, სხვაგვარად მკვდარი იქნება. მაგალითად: შესაძლოა ჩეჩნებს სამშობლოს სიყვარულის, მისი სილამაზისადმი მიძღვნილი ჩვენსავით ლამაზი და კეთილხმოვანი სიმღერები არც კი ჰქონდეთ, მაგრამ სამაგიეროდ თავიანთი მოქმედებით შეძლეს მისი სინდისისა და ღირსების დაცვა. რომელი უფრო მნიშვნელოვანია?




● ყველა ერს თავისი მენტალიტეტი, ცნობიერება, თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები აქვს. გერმანელებისთვის ეს წესრიგია, იაპონელებისთვის — შრომისმოყვარეობა, ამერიკელებისთვის — გერგილიანობა, პრაქტიკულობა, ინგლისელებისთვის — კონსერვატიზმი, იტალიელებისთვის — ხელოვნება, მუსიკა და ასე შემდეგ; აფხაზებისთვის კი — ალამისი, ანუ ზნეობრიობა, მორალი, სინდისიერება. ნებისმიერი ერისთვის, განსაკუთრებით კი მცირერიცხოვნისთვის, საკუთარი სახის დაკარგვა სახიფათოა — შესაძლოა, როგორც ერმა, საერთოდ შეწყვიტოს არსებობა.

● კონფლიქტებში იშვიათია ხოლმე, ერთი მხარე ყველაფერში მართალი, მეორე კი — ყველაფერში მტყუანი იყოს. რაც უფრო მალე მოინანიებს საკუთარ ცოდვებს თითოეული, მით უფრო მალე დადგება შერიგების ჟამი.

● სწორად მეტყველებასაც ვსწავლობდი, ორატორულ ხელოვნებასაც, მაგრამ სიბერეში შევიგნე, რომ უპირველესად დუმილი უნდა ისწავლო თურმე.

● რაც უნდა გააკეთოს ადამიანმა, ყველაფერი კარგი იქნება, თუ მას სიყვარული და სიკეთე ამოძრავებს.

● სტალინს თუ ევროპელის თვალით შევხედავთ, მასში ბოროტმოქმედის ნიშნებს აღმოვაჩენთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოს, რომელშიც მას უწევდა მოქმედება, ის გენიოსი იყო.

● საერთო ადამიანური სისუსტეა: ყველას გვსიამოვნებს, როცა გვაქებენ.

**ლორენცო შარანგია**



ილორი. 21-ე საუკუნის ტაძარი თბილისში

# დავით კუხალაშვილი: ჩვენ, უკვე დასკვნით ფაზაში უნდა გადავიდეთ უკრაინა-რუსეთის ომთან დაკავშირებით და ის პროცესები, რაც ახლა ვითარდება საფრანგეთ-აზერბაიჯანს შორის, არის ახალი ტერიტორიული გადანაწილების პროცესი



**აზერბაიჯანსა** და საფრანგეთს შორის ვითარება იძაბება. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ფრანგი ჯაშუშების დაკავების შემდეგ, საფრანგეთის სენატმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების მოთხოვნით რეზოლუცია მიიღო. სენატმა მოუწოდა მთავრობას, ევროპელ პარტნიორებთან ერთად, მიიღოს ყველა დიპლომატიური ზომა აზერბაიჯანის წინააღმდეგ, სომხეთის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების გამო.

საფრანგეთის სენატის მიერ მიღებულ რეზოლუციას ოფიციალური ბაქო ანტიაზერბაიჯანულად აფასებს და მიიჩნევს, რომ საფრანგეთის მხრიდან ანტიაზერბაიჯანული ქმედებების გაგრძელების გათვალისწინებით, აზერბაიჯანის მთავრობამ საფრანგეთის წინააღმდეგ სანქციები უნდა დააწესოს. აზერბაიჯანის მილი მეჯლისის საერთაშორისო ურთიერთობათა და საპარლამენტთაშორისო კომიტეტი ითხოვს, რომ გაიყიდოს აზერბაიჯანში ფრანგი ჩინოვნიკების ნებისმიერი ქონება; ასევე შეწყდეს საფრანგეთთან ეკონომიკური ურთიერთობა; ყველა ფრანგული კომპანია, მათ შორის TOTAL, უნდა განიდევნოს აზერბაიჯანიდან.

გარდა ამისა, ფრანგულ კომპანიებს სამთავრობო პროექტებში მონაწილეობა უნდა აეკრძალოს. დაევალოს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გადადგას ნაბიჯები კანაკის, მაოჰი ნუის და კორსიკის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. მილი მეჯლისმა ხელისუფლებას ულტიმატუმი ფრანგული მხარის გადაწყვეტილების შემდეგ წაუყენა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა 2023 წლის ნოემბერში დაიძაბა, როდესაც ფოთის პორტში შემოვიდა ფრანგული ხომალდი, რომელიც დატვირთული იყო მრავალფუნქციური ჯავშანტრანსპორტიორი Bastion-ით, რომელსაც ფრანგული კომპანია Acmat აწარმოებს. ამასთანავე, ფოთის პორტში შევიდა კომპანია ARQUUS-ის მიერ წარმოებული სხვადასხვა კომპონენტები, რომლებიც Bastion-ის ჯავშანტრანსპორტიორის ოპერირებისთვის არის საჭირო. ფოთის პორტიდან ამ ტვირთის ტრანსპორტირება სომხეთის მიმართულებით მოხდა.

ამის შემდეგ, აზერბაიჯანში ფრანგული სადაზვერვო ქსელი გამოააშკარავეს, სადაც რამდენიმე ათეული აგენტი შედიოდა. დააკავეს პირები, რომლებიც აზერბაიჯანში, უკრაინაში, საქართველოში, ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში მოქმედებდნენ. აზერბაიჯანი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ჯაშუში **მარტინ რაიანი** დააკავა, რომელიც შპს „მერკორამა“-ს ხელმძღვანელობდა. მას 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და ის ორი ფრანგი დიპლომატი, რომელთანაც **მარტინ რაიანი** კონტაქტს ამყარებდა, ქვეყნიდან გააძევეს. ფრანგული დაზვერვის ამ ჩავარდნის გამო პარიზში მისი ხელმძღვანელობაც კი შეცვალეს. ამ სკანდალში საინტერესო დეტალია ისიც, რომ მარტინ რაიანი 2019-2020 წლებში თბილისში მუშაობდა, სადაც Experto Consulting LLC-ს დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი იყო.

თავის მხრივ, საფრანგეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ არ ავიწყდება მოლდოვა და კავკასიის ქვეყნები.

როგორ დასრულდება ფრანგულ-აზერბაიჯანული დაპირისპირება? — ამ საკითხებთან დაკავშირებით FOR.GE უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტს **დავით კუხალაშვილს** ესაუბრა.

## დიდ საფრანგეთთან პატარა აზერბაიჯანს ვითომ გაუვა მართალი?!





**— ბატონო დავით, რას ვაკვირდებით ფრანგულ-აზერბაიჯანული დაპირისპირების ნაწილში როგორც უსაფრთხოების, ასევე პოლიტიკური კუთხით?**

— საფრანგეთი, სადაზვერვო ქმედებებით, მთლიანად კავკასიაში, აქტიურად მოღვაწეობს. სამწუხაროდ, საქართველოშიც და მათ საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე გააჩნიათ საკუთარი ინტერესების გამტარებელი პირი და აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ეს არაა მარტო საფრანგეთი, ეს არის გარკვეული ერთობა და ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ვისაუბროთ კოლექტიურ დასავლეთზე, იმიტომ, რომ საფრანგეთი არ არის დამოუკიდებელი მოთამაშე. ის ყოველთვის გამოდის კოლექტიური დასავლეთის სახელით. ასე რომ, ცალკე ნუ განვიხილავთ საფრანგეთს.

რაც შეეხება უშუალოდ ამ ფაქტს, ჩვენ ადრეც ვისაუბრეთ, რომ ყარაბაღთან განვითრებული მოვლენები, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანმა საკმაოდ საფუძლიანი წარმატება მოიპოვა, სომხური ლობის ინტერესებში არ შედიოდა და არ შედის. ეს ლობი აქტიურად იბრძვის იმისათვის, რომ კოლექტიური დასავლეთი აქტიურად იქნას გამოყენებული საკუთარი ინტერესების აღსასრულებლად.

მეორე და მნიშვნელოვანი გარემოება — როდესაც სახელმწიფოს სადაზვერვო აქტივობა უფისქსირდება ნივთიერი მტკიცებულებით რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოში, ეს იმას ნიშნავს, რომ მზვერავი სახელმწიფო და მისი სპეცსამსახური არის კომპრომეტირებული და ასეთი სახელმწიფოს მიმართ შესაძლებელია გატარდეს სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიებები.

**— რა სახის სადამსჯელო ღონისძიება შეიძლება გატარდეს?**

— სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ინდივიდუალურ რეჟიმში, ისე კოლექტიური გადაწყვეტილება იქნას მიღებული სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან. საფრანგეთს არავინ არ დასჯის და არც სანქციას შემოიღებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად, საფრანგეთი არ არის დამოუკიდებელი მოთამაშე და ის კოლექტიური დასავლეთის ერთიან მთლიან ნაწილს წარმოადგენს, კიდევ ერთხელ დაადასტურებს ამ მოსაზრებას.

რაც შეეხება პროცესების ინსპირირებას, ჩვენ გარდამავალ და შეიძლება ითქვას, რომ უკვე, გარკვეულწილად, დასკვნით ფაზაში უნდა გადავიდეთ უკრაინა-რუსეთის საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით და ის პროცესები, რაც ახალა ვითარდება საფანგეთ-აზერბაიჯანს შორის, არის ახალი ტერიტორიული გადანაწილების პროცესი. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ საბოლოოო ჯამში მოლაპარაკების ფაზაში მყოფი დომინანტი სახელმწიფოები ამ პროცესშიდაც კი ახორციელებენ აქტიურ სადაზვევრო ქმედებებს.

**— რა გაგრძელება შეიძლება ამას მოჰყვეს? ძალიან მკაცრია აზერბაჯანის მოთხოვნა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია აზერბაიჯანსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდეს?**

— ფაქტობრივი მდგომარეობა რაც გვაქვს, ვფიქრობ, რომ საფრანგეთს რაიმეს მოთხოვნის უფლებამოსილება არ გააჩნია. აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა გამოავლინეს საფრანგეთის აქტიური სადაზვერვო ქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ. სადაზრვერვო საქმიანობას როდესაც ვახსენებთ, ამ შემთხვევაში, საუბარია კონკრეტული სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ სახელმწიფოში ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, რომელიც ძირს უთხრის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სამხედრო და სამედიცინო ტექნიკურ უსაფრთხოებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს საფრანგეთის სახელმწიფოს მხრიდან მტრული დამოკიდებულება აზერბაიჯანთან მიმართებაში.

ამიტომ, აზერბაიჯანს აქვს ლეგიტიმური უფლება, ყველა ძალა და შესაძლებლობა გამოიყენოს, რომ საფრანგეთმა პასუხი აგოს თავის ქმედებებზე. მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, საფრანგეთს არ დაუკავებია აზერბაიჯანელი ჯაშუშები და ყველაფერი განვითარდა მას შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა აღნიშნული ჯაშუშები გამოავლინა. ამიტომ, მოვლენათა განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რაზე შეთანხმდებიან საბოლოო ჯამში სახელმწიფოები. ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, რომ ეს პროცესიც გარკვეული ვაჭრობის თემა იქნება კოლექტიურ დასავლეთსა და აზერბაიჯანს შორის და ამ ბრძოლაში აზერბაიჯანი მარტო არ არის.

**— თქვენ ამბობთ, რომ ამ დაპირისპირებაში აზერბაიჯანი მარტო არ არის. რეალურად, ამით საფრანგეთი უპირისპირდება არა აზერბაიჯანს, არამედ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც რეალურად დგას აზებაიჯანის უკან — თურქეთი, ირანი?**

— რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირი დაპირისპირების ჯაჭვი, რომელიც, ზოგადად, ისედაც ჩანს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე და შესაბამისად, ამის ჩამოცილება და ცალკე გამოყოფა ვფიქრობ, რომ არ იქნება სწორი. ეს არის ჯგუფური ინტერესიდან გამომდინარე. ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც არის გარკვეული კოალიცია. ეს არის კოალიციური დასავლეთი და აზერბაიჯანი თავის სტრატეგიული პარტნიორებით. ამიტომ, ეს არის გლობალური მასშტაბის საკითხი და ასეთი თემების წინ წამოწევა, ვფიქრობ, რომ წინასწარ შეჯერებული და შეთანხმებულია, რომ არ დაზიანდეს აზერბაიჯანის ეროვნული ინტერესები.

**— სენატმა მოუწოდა მთავრობას, ევროპელ პარტნიორებთან ერთად, მიიღოს ყველა დიპლომატიური ზომა აზერბაიჯანის სახელმწიფოზე სომხეთის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების გამო. ამ კონკრეტული მოთხოვნით რას ამბობს საფრანგეთი, სადაც ძალიან ძლიერია სომხური ლობი?**

— ნებისმიერი ლობის საქმიანობა გამოიყენება იმ სახელმწიფოს მიერ, ვისაც ევაჭრება ლობი და ვისზედაც ცდილობს თავისი ზეგავლენა მოახდინოს იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ისინი კრიზისულ მდგომარეობაში არიან. ვფიქრობ, რომ საფრანგეთის ხელისუფლება კრიზისშია. ეს არის სპეცსამსახურების კრიზისი. ასეთი გამოაშკარავება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საკმაოდ სერიოზული კომპრომენტაციის საფუძველია. ამიტომ ვფიქრობ, რომ განცხადება, რასაც აკეთებს საფრანგეთი, ვერ გადაფარავს იმას, რაც მოხდა აზერბაიჯანში.

მაგრამ ერთი რამ უნდა დავიმახსოვროთ, განსაკუთრებით ჩვენც — არის ასეთი გამოთქმა „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი“ და ამ პრინციპის მიხედვით საფრანგეთს არავინ პასუხს არ მოსთხოვს. თუ დავაკვირდებით საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს და მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდს და თვითონ ომის პერიოდში საფრანგეთის მოღვაწეობას, ეს იყო მისი ქვეყნის სადაზვერვო ინტერესებიდან გამომდინარე ქმედება. საფრანგეთს საქართველოს წინააღმდეგ სადაზვერვო აქტივობები არასოდეს არ შეუწყვეტია.

**თამთა ქარჩავა**



## ბორის ჯონსონი: ტრამპის გაპრეზიდენტება შესაძლოა, მსოფლიოსთვის დიდი გამარჯვება იყოს

**დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ დონალდ ტრამპის თეთრ სახლში დაბრუნება, შესაძლოა, მსოფლიოსთვის დიდი გამარჯვება იყოს,** — ამის შესახებ ბორის ჯონსონი „დეილი მეილში“ გამოქვეყნებულ საავტორო სტატიაში წერს.

**„ჩვენ ყველა უნდა გავიზარდოთ და შევეჩვიოთ ამ პერსპექტივას. ტრამპი სწორად თუ მოიქცევა და მხარს დაუჭერს უკრაინელებს, და მე მჯერა, რომ ის ამას გააკეთებს, ტრამპის პრეზიდენტობა, შესაძლოა, იყოს დიდი გამარჯვება მსოფლიოსთვის“,** — წერს ჯონსონი.

მისივე თქმით, მსოფლიოს სჭირდება ლიდერი, რომლის მზადყოფნა, გამოიყენოს ძალა და მკაფიო არაპროგნოზირებადობა, დასავლეთის მტრებისთვის მთავარ შემაკავებელ ფაქტორებს წარმოადგენს. ამავე სტატიაში ჯონსონი აღნიშნავს, რომ ტრამპი იყო აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც მხარი დაუჭირა უკრაინას და 2018 წელს ტანკსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინები“ გადასცა კიევს.

**„ამიტომ, ჩემო ანტიტრამპისტო მეგობრებო, მე გეტყვით, დამშვიდდით. რაც უფრო მეტს განიცდით და შფოთავთ, მით უფრო შემართული ხდებიან მისი მხარდამჭერები და, შესაბამისად, ტრამპის გამარჯვება შესაძლებლობიდან ალბათობად გადაიქცევა. დიახ მეგობრებო, დიდი სტაფილოსფერი დირიჟაბლი ისევ იბერება ატლანტიკის თავზე“,** — წერს ბორის ჯონსონი.

ცნობისთვის, გასულ კვირას დონალდ ტრამპმა აიოვას შტატში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე დიდი მხარდაჭერა მოიპოვა.

## თუ ომის შეჩერება შეგიძლიათ, კიევში გელოდებით!



**„დიახ, დონალდ ტრამპ, მე გპატიჟებთ უკრაინაში, კიევში. თუ თქვენ შეგიძლიათ ომის შეჩერება 24 საათში, ეს საკმარისია იმისთვის, რომ თქვენ ჩამოხვიდეთ კიევში, ნებისმიერ დროს. მე აქ ვარ“,** — განაცხადა ზელენსკიმ ბრიტანულ „მეოთხე არხთან“ ინტერვიუში.

ზელენსკის თქმით, თუ ტრამპს აქვს ომის დასრულების ფორმულა, მას სურს, იცოდეს, რა არის ეს ფორმულა. ცნობისთვის, მანამდე დონალდ ტრამპმა არაერთხელ თქვა, რომ თეთრ სახლში დაბრუნების შემთხვევაში, ის უკრაინაში მიმდინარე ომს 24 საათში შეაჩერებს.

## რეჯეფ თაიფ ერდოღანი:
# დღევანდელი ფიურერი ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუა



– ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** განაცხადა.

**„დღეს ჩვენ, ყველანი გაოგნებულები ვართ, ვინც უსაზღვრო და უპირობო მხარდაჭერას უწევს ისრაელის ადმინისტრაციას ჩვენს რეგიონში ავიამზიდების გაგზავნით, ვინც თვალს ხუჭავს ისრაელის მიერ ჩადენილ ხოცვა-ჟლეტასა და სისასტიკეზე, ხვალ ვერ გაექცევა სიტყვებს „თუ მხოლოდ“ და დიდ სინანულში ჩავარდებიან.**

**გაჩნდნენ ფაშისტური სახეები, ვინც დემოკრატიაზე ქადაგებას არავის დაანებებენ, როდესაც საქმე სიტყვას ეხება. ორგანიზაციებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, წარუმატებლობა განიცადეს და რეპუტაცია დაკარგეს. მათ მხოლოდ ნეთანიაჰუს, დღევანდელი ფიურერის და მისი გუნდის დანახვა შეუძლიათ, რომელთა თვალები სისხლითა და სიძულვილით არის სავსე და ჩადიან გენოციდურ ბარბაროსობას პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ“,** – განაცხადა ერდოღანმა.

## „ბლუმბერგი“:
# ქაოსი წითელ ზღვაში სურსათის მიწოდებას უქმნის საფრთხეს და პროდუქტების გაძვირების რისკს აჩენს

**როგორც გავლენიანი გამოცემა წერს, წითელ ზღვაში არსებული დაძაბულობა უკვე უშლის ხელს სხვადასხვა პროდუქციის გადაზიდვებს, დაწყებული ყავიდან, დასრულებული ხილით.**

„ბლუმბერგი“ წერს, რომ იემენელი „ჰუსიტების“ თავდასხმების გამო სავაჭრო გემები გვერდს უვლიან წითელ ზღვას, რაც გადაზიდვების ხანგრძლივობასა და ფასზეც ნეგატიურად აისახება. სტატიაში აღნიშნულია, რომ, ნავთობისა და ბუნებრივი აირისგან განსხვავებით, გადაზიდვების შეფერხება მალფუჭებად სურსათს გასაყიდად გამოუსადეგარს ხდის.

როგორც გამოცემა წერს, ექსპორტიორების დიდი ნაწილი შიშობს, რომ თუ წითელ ზღვაში ვითარება არ შეიცვლება, გადაზიდვების ფასის ზრდა მომხმარებელზეც აისახება. შეგახსენებთ, რომ წითელ ზღვაში გემებს თავს იემენელი „ჰუსიტები“ ესხმიან. მათი განცხადებით, ისინი ამგვარად უპირისპირდებიან ისრაელის მიერ ღაზის სექტორში წამოწყებულ ომს.

# ესტონელები მიტროპოლიტ ევგენის ქვეყნიდან აძევებენ



**ესტონეთის მთავრობამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლის, ტალინისა და სრულიად ესტონეთის მიტროპოლიტის ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღო.**

მიტროპოლიტ ევგენის ესტონეთში ბინადრობის უფლების ვადა აღარ გაუხანგრძლივეს. როგორც ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მიტროპოლიტი საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას და მან ქვეყანა 6 თებერვლამდე უნდა დატოვოს. როგორც ესტონეთის ძალოვან უწყებებში აცხადებენ, მათი წარმომადგენლები არაერთხელ შეხვდნენ მიტროპოლიტ ევგენის და განუმარტეს, რომ მან უნდა შეწყვიტოს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული ომის გამართლება. თუმცა, მათივე თქმით, მიუხედავად ამისა, სასულიერო პირმა „ქცევა არ შეცვალა“.

# ვაშინერს!

## საბერძნეთში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს

**საბერძნეთში კიდევ ერთი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ამჯერად ხელბორკილები 36 წლის მამაკაცს დაადეს. ბერძნული გამოძიება სავარაუდო ექვმიტანილს ერთ დღეში ჩადენილ რამდენიმე დანაშაულს ედავება. გამოძიების მიხედვით, მამაკაცმა ჯერ აფთიაქში შეჭრა სცადა, შემდეგ კი ორი საკონდიტროდან ფული მოიპარა.**

ბერძენმა სამართალდამცველებმა მამაკაცი იმ დროს აიყვანეს, როცა ტანსაცმლის მაღაზიის გაქურდვა სცადა, მეპატრონეს კი მოკვლით ემუქრებოდა. საქმეზე გამოძიება მიდის. მამაკაცს ბრალს რამდენიმე დღეში წარუდგენენ.

## ელადის მიწაზე დაკავებული ქართველები, სატელეფონო ჩანაწერები და შეკვეთილი მკვლელობები

**ბერძნული მაფიის ერთ-ერთი ლიდერი რამდენიმე დღის წინ საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილეს. ვანგელის ზამპუნისის ავტომატიდან 90 ტყვია ესროლეს. მკვლელობიდან 24 საათში ათენთან ახლოს, პროვინცია ატიკში და თესალონიკში სპეცოპერაცია რამდენიმე ადგილას ერთდროულად ჩატარდა. დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 5 წევრი. მათ შორის ორი ქართველია. ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთ მოქალაქეზე ბერძნულმა პოლიციამ ძებნა წითელი ცირკულარით გამოაცხადა.**



ბერძნული პოლიციის ინფორმაციით, სწორედ ამ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა მოკლეს ბერძნული მაფიის სხვა ლიდერიც. იანის სკაფტურუსი 2022 წელს საკუთარი სახლის ეზოში ავტომატით ჩაცხრილეს. 39 წლის ქართველის თითის ანაბეჭდები ერთ-ერთ იმ მოტოციკლზე აღმოჩნდა, რომლითაც მკვლელებმა დანაშაულის ადგილი დატოვეს. დაჯგუფების კიდევ ერთი წევრი ქართველი, 20 წლის დ.დ- ა. ბერძნული პოლიცია ამტკიცებს, რომ ის რამდენიმე მკვლელობაში და აფეთქებების მოწყობაშია დამნაშავე. მას ბრალად ედება ბერძნული მაფიის კიდევ ერთი ლიდერის ვასილი რუბეტისისისა და მისი სიძის დიონისე მუზაკიტის მკვლელობა.

სამართალდამცველები მის სატელეფონო საუბრებს თვეების განმავლობაში უსმენდნენ. ერთ-ერთ საუბარში ახალგაზრდა კაცი ჩადენილი მკვლელობებით მეგობართან ტრაბახობდა. ქართული მაფიის წევრების, როგორც მათ ბერძნულ მედიაში მოიხსენიებენ, სახლების ჩხრეკისას ამოღებულია იარაღები და მობილური ტელეფონები. ექსპერტიზა არ დასრულებულა, თუმცა პოლიცია დარწმუნებულია, რომ ნივთმტკიცებად ამოღებული იარაღებით რამდენიმე დანაშაულია ჩადენილი. საბერძნეთის ოფიციალური უწყებები ამტკიცებენ, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი ოდესაში იმყოფება და დავალებებს იქიდან გასცემს. მისი იდენტიფიცირება ჯერ ვერ შეძლეს, თუმცა იციან რომ დაკავებულები და ისინი ვისზეც ძებნაა გამოცხადებული პროფესიონალი ქილერები არიან.

დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებმა ბოლო 2 წლის განმავლობაში უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინეს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბერძნული მაფიის ლიდერებსა და ამ დაჯგუფებას შორის უთანხმოება კონტრაბანდული თამბაქოს გადაზიდვის გამო დაიწყო. ყველა მკვლელობა შეკვეთილი იყო, თუმცა ვინ გასცა ბრძანება და ვინ შეუკვეთა სასტიკი დანაშაულები გამოძიებისთვის ამ ეტაპზე უცნობია.

## სექსუალური შევიწროების გამო ორ მწვრთნელს საფეხბურთო საქმიანობა აეკრძალა

**პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის განცხადებით, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ფეხბურთელი გოგოების მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების გამო, ორ მწვრთნელს საფეხბურთო საქმიანობა აეკრძალა.**

PHQ-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციამ ამ მოთხოვნით ფეხბურთის ფედერაციას 12 ოქტომბერს მიმართა და მოითხოვა საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მწვრთნელებისთვის დროებით, ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობის აკრძალვა – ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა ათლეტი გოგოების მიმართ სპორტში სექსუალური შევიწროება.

ორგანიზაციის ცნობით, კომიტეტი დაეყრდნო სასამართლო გადაწყვეტილებებს და მხედველობაში მიიღო მწვრთნელების მხრიდან საფეხბურთო საქმიანობის გაგრძელების შედეგად გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკი. მათი თქმით, კომიტეტის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ორივე შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები საკმაოდ მწვავე ხასიათისაა და ამ საკითხზე სათანადო უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან შემდგომში უმოქმედობამ, შესაძლოა გამოიწვიოს გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანი.

**„კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღების დროს შეაფასა დისკრიმინაციის შესაძლო რისკის პრევენციის საჭიროება და მწვრთნელების ინტერესი, განახორციელონ საფეხბურთო საქმიანობა. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში, უპირატესობა დისკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციურ უფლებას მიანიჭა.**

**შესაბამისად, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მწვრთნელებს დროებით, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანამდე, აეკრძალოთ ნებისმიერი საფეხბურთო საქმიანობა“,** – ნათქვამია განცხადებაში.

PHR-ში აღნიშნავენ, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი და პრეცედენტულია, რადგან კომიტეტმა პირველად მიიღო გადაწყვეტილება მწვრთნელებისთვის საფეხბურთო საქმიანობის აკრძალვის თაობაზე სექსუალური შევიწროების გამო. მათი შეფასებით, გადაწყვეტილება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქალი ათლეტების, მათ შორის არასრულწლოვნების სექსუალური შევიწროებისგან დაცვისა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით.

## ტრაგედია ბაკურიანში

**19 იანვარს ბაკურიანში, ერთ-ერთ სათხილამურო ტრასაზე, უბედური შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, 36 წლის ახალგაზრდა კაცი სათხილამურო ტრასაზე მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, რა დროსაც სხვა მოთხილამურეს დაეჯახა.**

შემთხვევის შედეგად დაშავებული ბაკურიანში, კლინიკაში გადაიყვანეს. თვითმხილველების ცნობით, მას ქვედა კიდურები აქვს მოტეხილი.

გარდაცვლილი ახალგაზრდა გიორგი ტუხაშვილია. ის წარმატებული სტარტაპერი იყო. წლები კონსალტინგის მიმართულებით მუშაობდა. ეხმარებოდა კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს და წარმატებით აშენებდა სტარტაპ ეკო-სისტემას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Startup Grind Tbilisi-ის ზრდაში, რაც სტარტაპებისა და ტექნოლოგიური კომპანიებისთვის ხელშესახებ ღირებულებას ქმნის.

გიორგი 2 წლის წინ მარტივი ინვოისირებისა და ფინანსური ხელსაწყოების სტარტაპ Kernel-ის თანადამფუძნებელი გახდა. თავდაპირველად ის კომპანიის პროდუქტის გუნდს ხელმძღვანელობდა. გიორგის მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები დარჩა. გარდაცვლილი ახალგაზრდა ცნობილი ექიმისა და ფოტომემატიანის გივი ტუხაშვილის ვაჟი იყო. ტრაგიკული შემთხვევის დროს გიორგი ბაკურიანში ოჯახთან ერთად იმყოფებოდა.

## საზარელი დანაშაული კახეთში, 12 წლის გოგო მამიდის ქმარმა გააუპატიურა

**კახეთის ერთ-ერთ სოფელში 12 წლის გოგო მამიდის ქმარმა გააუპატიურა. გაუპატიურების ამბის გაგების შემდეგ, შურისძიების მიზნით, გოგონას ბიძამ სავარაუდო დამნაშავე იარაღით დაჭრა.**

არსებული ინფორმაციით, 12 წლის გოგო საავადმყოფოში იმყოფება. საგარეჯოს კლინიკაშია დაჭრილი სავარაუდო დამნაშავეც. არასრულწლოვანის ბიძა კი დაკავებულია.

**„ოჯახში შემოვიყვანეთ, ვუპატრონეთ, დავასაქმეთ. 3 კვირის წინ მისი ცოლი, ანუ ჩემი ქალიშვილი დაიღუპა და აქ ოჯახში სამძიმრის სუფრას ვშლიდით. მან კი ფერმაში ჩემი 12 წლის შვილიშვილი გააუპატიურა. გოგონა ჩემი გარდაცვლილი ვაჟის შვილია. ჩემმა მეორე ბიჭმა გაუპატიურების ამბავი, რომ გაიგო, ვერ მოითმინა, წავიდა და დაჭრა. ის პოლიციას თავად ჩაბარდა,“** – ამბობს გოგონას პაპა.

* * *

**45 წლამდე მამაკაცი საავადმყოფოში მძიმე კომატოზურ მდგომარეობაში შემოიყვანეს. გამოხატული იყო შოკი,** – „ჯეო ჰოსპიტალსის“ საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის დირექტორმა, სულხან სამხარაძემ „ქრონიკაში“ სატელეფონო ჩართვისას განაცხადა.12 წლის გოგოზე ძალადობის გამო ცივი იარაღით დაჭრილი მამაკაცი რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზეა.

მწვრთნელი

# საუკეთესო არჩევანი

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** საქართველოს ნაკრების და შავი ლომის მთავარ მწვრთნელად რიჩარდ კოკერილის დანიშვნის შემდეგ კომენტარი გააკეთა. როგორც მან თქვა, ბევრი კანდიდატურა განიხილეს, მაგრამ საბოლოოდ საუკეთესო არჩევანი გააკეთეს.

**იოსებ ტყემალაძე: „ამ დღისთვის ძალიან ბევრი ვიმუშავეთ. განვიხილეთ არაერთი კანდიდატურა, ორჯერ ვიმსჯელეთ გამგეობაზე, რადგან ჩვენთვის ქართული რაგბის ვინმესთვის ჩაბარება საკუთარი სისხლის გაღების ტოლფასია. ვფიქრობ, კოკერილის ასაკიდან, გამოცდილებიდან და შემართებიდან გამომდინარე საუკეთესო არჩევანი გავაკეთეთ. არჩევანის გაკეთებამდე გავითვალისწინეთ მისი რეკომენდატორები, რომლებიც გამგეობაშიც გვყავს და რიჩარდის შეფასებისას მათგან მხოლოდ პოზიტივი გვესმოდა.**

**დღეს საქართველოს მნიშვნელოვანი სტუმარი ჰყავს, ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის (EPXQ) თავმჯდომარე ბატონი დომინიკ მაკქეი, რომელსაც რიჩარდთან ერთად „ედინბურგში“ არაერთი წელი უმუშავია და შოტლანდიური რაგბი მისი გარჯით ძალიან კმაყოფილია. იმედია ამ გადაწყვეტილებას ჩვენი მორაგბეებიც სიხარულით შეხვდებიან და ქართული ხასიათის სირთულეების მიუხედავად, ახალ მწვრთნელს კარგად შეეწყობიან. ყველა მომდევნო მწვრთნელთან ჩვენ გვაქვს მოთხოვნა, რომ ისტორიული გამარჯვებები ჯერ შეინარჩუნოს და მერე გააუმჯობესოს.**

**აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ლევან მაისაშვილს. მას ძალიან დიდი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი და მჭიდრო ურთიერთობაშია რიჩარდ კოკერილთან. ის გააგრძელებს რაგბის კავშირთან თანამშრომლობას და ვფიქრობ, ნაკრებიც და „შავი ლომიც“ რიჩარდის ხელშიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც ლევანის დროს იყო. მინდა რიჩარდს ხმამაღლა ვუთხრა – მთელი ქვეყანა და პირადად რაგბის კავშირის პრეზიდენტი მის გვერდშია. ჩვენ გვაქვს მისი მაღალი ნდობა, ჩვენი ყველასათვის საყვარელი კვართი მის ხელშია და გვჯერა, გუნდურობა და ერთობა აუცილებლად მოიტანს არაერთ დიდ გამარჯვებას.**

**ერთი წელი მწვრთნელის საქმიანობის შესაფასებლად საკმარისი არაა, თუმცა ამ პერიოდში შეგვიძლია ვნახოთ როგორ შეეწყობა ის გუნდს, ბიჭებს, რაიმე სისტემური ხარვეზი ხომ არაა და ამის შემდეგ მივიღებთ კონტრაქტის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ზაფხულსა და ნოემბერში რთული ტესტები გვექნება და გამარჯვების ამბიციაც გვაქვს, თუმცა ფოკუსი 4-წლიან ციკლში მსოფლიო თასზე ნაჩვენებ შედეგზე კეთდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე ვინმესთან რამეს დავთმობთ“.**

შეგახსენებთ, რომ რიჩარდ კოკერილსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის 1+3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.



მემორიალი

# ფინალში: ქუთაისი – კავკასია



**ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნის ტურნირის ფინალში ერთმანეთს „ქუთაისი 2010“ და „კავასია“ შეხვდებიან. ქუთაისელებს აღნიშნული ტურნირი ყველაზე მეტჯერ, 5-ჯერ (2016, 2017, 2018, 2021, 2022) აქვთ მოგებული, ბევრად მოკლე ისტორიის მქონე კავკასია კი მემორიალის ფინალში პირველადაა.**

თბილისი არენაზე პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს ქუთაისი და თსუ შეხვდნენ. ორივე გუნდს დანაკლისი ჰქონდა, თუმცა თსუ-ს განსაკუთრებულად. სუპერლიგის მოქმედ ჩემპიონს გიორგი ცინცაძე, გიორგი ტურძილაძე და კახა ჯინჭარაძე აკლდნენ, ხოლო ქუთაისს – გიორგი კორსანტია. ეს ყველაფერი შედეგზეც აისახა და იმერულმა კლუბმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

თუ არ ჩავთვლით პირველ პერიოდს, ბრძოლა ფაქტობრივად არ შემდგარა. პირველ ტაიმში მიხეილ ბერიშვილის 5-ში 5 სამქულიანი ქუთაისისთვის დიდი შეღავათი, თსუ-სთვის კი თავსატეხი გამოდგა. **კოტე ტუღუშის** გაწვრთნილი ქუთაისი დიდი შესვენებისთვის 23 ქულით იგებდა, რითაც ფაქტობრივად მატჩის ბედი გარკვეული იყო. უნივერსიტეტელთა მწვრთნელმა ცდა არ დააკლო, მაგრამ თამაშის შემოსაბრუნებლად რესურსი არ ეყო. თსუ-მ ბოლო პერიოდში დიდად მოინდომა, თუმცა მხოლოდ ჩამორჩენის შემცირება მოახერხა.

საბოლოოდ ქუთაისმა 105:93 მოიგო და სატიტულო მატჩში ადგილი დაიბევა. გამარჯვებულებს 25 ქულითა და 7 მოხსნით ახალგაზრდა გიორგი სულაბერიძემ ულიდერა. 19 ქულა დააგროვა მიხეილ ბერიშვილმა, აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე კი 15 ქულა, 9 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. თსუ-ში 21 ქულით საუკეთესო იყო კამერონ კრენსტონი. დუეინ გუდმენის ანგარიშზე კი 18 ქულა დაგროვდა.

მეორე ნახევარფნალში დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილმა თბილისის „რაშმა“ არაფერი არ დათმო. პირიქით, ბოლომდე იბრძოლა და გადამწყვეტ მომენტში გამარჯვების შანსიც ჰქონდა, როცა 13-ქულიანი ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა. ბოლო წუთზე უფრო მობილიზებული კავკასია აღმოჩნდა, ლევან გოგიჩაიშვილმა და გუნდის ახალწვეულმა, ჯავაუნ დანიელსმა საჯარიმოები ზუსტად შეასრულეს და ბექა წივწივაძის გაწვრთნილი კავკასია მიუწვდომელი გახადეს. საბოლოოდ კავკასიელებმა 104:94 იმარჯვეს.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო დანიელსი, რომელმაც 22 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი დააგროვა. 18 ქულა ჰქონდა ლევან გოგიჩაიშვილს, ხოლო ლუკა მაზიაშვილმა შეხვედრა 14 ქულით, 9 პასითა და 7 მოხსნით დაასრულა. რაშს ერიკ ფრედერიკმა ულიდერა – 30 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი. 20 ქულა დააგროვა ევან მილიგანმა.

# საფეხბურთო მოზაიკა

**რუმინულმა „კრაიოვამ“ ანზორ მექვაბიშვილის ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურა.**

ქართველმა ფეხბურთელმა 4.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მას 5-ნომრიანი მაისური გადასცეს. რუმინული მედია წერს, რომ ტრანსფერი 750 000 ევრო დაჯდა, ხოლო მომდევნო ტრანსფერიდან „დინამო თბილისი“ 20%-ს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ანზორ მექვაბიშვილი „დინამოს“ აღზრდილია, რომლის მთავარ გუნდში 113 მატჩში 8 გოლი გაიტანა, ხოლო საქართველოს ნაკრებში დღემდე 13-ჯერ ითამაშა.

* * *

**„ნაპოლის“ პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი კაპიტალის მოგების საქმეზეა ეჭვმიტანილი.**

იტალიური მედიის ცნობით. რომის პროკურატურამ საქმის შესწავლის შემდეგ ეჭვმიტანილთა სიაში დე ლაურენტისი, მისი მეუღლე, მისი ორი შვილი და ასევე „ნაპოლის“ ხელმძღვანელობაში მომუშავე რამდენიმე ადამიანი შეიყვანა.

გამოძიება გაგრძელდება და დე ლაურენტისს შეკითხვებზე პასუხების გაცემაც მოუწევს. საქმე ეხება ვიქტორ ოსიმენის ტრანსფერს.

2020 წელს „ნაპოლიმ“ „ლილიდან“ ნიგერიელი ფორვარდი 71 მილიონ ევროდ დაიმატა, საიდანაც 50 მილიონი ფრანგულ კლუბს გადაუხადა, მაგრამ დანარჩენი 21 მილიონი ოთხ ფეხბურთელში გამოქვითა. ეს ფეხბურთელები არიან ორესტის კარნეზისი, ლუიჯი ლიგუორი, ჩირო პალმიერი და კლაუდიო მანცი. არც ერთ მათგანს „ლილში“ მატჩიც არ ჩაუტარებია კარნეზისის გარდა, დანარჩენები კი, პროფესიონალი ფეხბურთელები საერთოდ არ არიან.

ჯერჯერობით, უცნობია, რა სასჯელი ელოდება დე ლაურენტისს და „ნაპოლის“, მაგრამ შარშან კაპიტალის მოგების საქმესა და ყალბ ხარჯთაღრიცხვაზე „იუვენტუსს“ 10 ქულა დააკლეს.

* * *

**„ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ მაძარიმ „ფიორენტინასთან“ 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ ხვიჩა კვარაცხელიაზეც გააკეთა კომენტარი.**

„აძურის“ თავკაცი არ დაეთანხმა ჟურნალისტს, რომლის აზრით, ხვიჩას ახალ სქემაში უფრო მეტად მოუწია დაცვითი ფუნქციების შესრულება:

**„არ ვიცი, რას გულისხმობთ. თუ გავიხსენებთ, სპალეტის პერიოდში დაცვით ფაზაში იგივე მოძრაობებს აკეთებდა. 3-4-3-ში სამი თავდამსხმელი იმავეს აკეთებს, რასაც 4-3-3-ში აკეთებს. ის დაგვეხმარა დაცვაში, როგორც შარშან აკეთებდა. მეორე ტაიმში სიმეონესთან უფრო ახლოს დავაყენე, მაგრამ ეს მექანიზმი არ ჩანდა, რადგან „ფიორენტინა“ პერსონალურ დაცვას თამაშობდა“,** - აღნიშნა მაძარიმ.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ იტალიის სუპერთასის ფინალში დღეს „ინტერს“ დაუპირისპირდება.

* * *

**„ნაპოლიმ“ „ვერონადან“ მარჯვენა გარემარბი სირილ ნგონჟე დაიმატა. ტრანსფერი ოფიციალურად დადასტურდა.**

ბელგიელმა ფეხბურთელმა 26-ნომრიანი მაისური მოირგო, ხოლო „ნაპოლის“ მისი შეძენა 20 მილიონი ევრო დაუჯდა.

23 წლის შემტევი „აძურის“ მესამე ახალწვეულია ახლანდელ სატრანსფერო პერიოდში პასკუალე მაძოკისა და ჰამედ ჟუნიორ ტრაორეს შემდეგ.

მიმდინარე სეზონში სირილ ნგონჟემ „ვერონას“ მაისურით 21 შეხვედრაში თავი 6 გოლით გამოიჩინა. მას „ბრიუგეში“, „პსვ ეინდჰოვენში“, „ვალვაიკსა“ და „გრონინგენში“ აქვს ნათამაშები.

* * *

**დუბაიში ტრადიციული Globe Soccer Awards-ი გაიმართა, რომლის ვერსიით მსოფლიოს 2023 წლის საუკეთესო ფეხბურთელად „მანჩესტერ სიტის“ და ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელი ერლინგ ჰოლანდი დასახელდა.**




ჯილდოს გარეშე Globe Soccer Awards-ზე ტრადიციულად არ დარჩენილა **კრიშტიანუ რონალდუ**, უფრო მეტიც, მან ყველაზე მეტი, ჯილდო მიიღო.

### ყველა ნომინაციაში გამარჯვებულები:

**2023 წლის საუკეთესო ფეხბურთელი:** ერლინგ ჰოლანდი (მანჩესტერ სიტი).

**გულშემატკივართა ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრიშტიანუ რონალდუ (ალ-ნასრი).

**ახლო აღმოსავლეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრიშტიანუ რონალდუ (ალ-ნასრი).

**წლის საუკეთესო მეკარე:** ედერსონი (მანჩესტერ სიტი).

**წლის საუკეთესო ნახევარმცველი:** როდრი (მანჩესტერ სიტი).

**წლის განვითარებადი ფეხბურთელი:** ჯუდ ბელინგემი (რეალი).

**წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი:** აიტანა ბონმატი (ბარსელონა).

**ჯილდო საფეხბურთო კარიერისთვის:** ჯონ ტერი (ჩელსი).

**ჯილდო კარიერისთვის:** კაზემირო (მანჩესტერ იუნაიტედი).

**ახლო აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდი:** ალ-აჰლი (ეგვიპტე).

**ქალთა საუკეთესო გუნდი:** ბარსელონა (ესპანეთი).

**მამაკაცთა საუკეთესო კლუბი:** მანჩესტერ სიტი (ინგლისი).

**ჯილდო სამწვრთნელო კარიერისთვის:** ლიონელ სკალონი (არგენტინის ნაკრები).

**წლის საუკეთესო მწვრთნელი:** პეპ გვარდიოლა (მანჩესტერ სიტი).

**წლის პრეზიდენტი:** ხალდოონ ალ მუბარაქი (მანჩესტერ სიტი).

**წლის აგენტი:** ჟორჟე მენდეში.

**წლის საუკეთესო სპორტული დირექტორი:** კრისტიანო ჯუნტოლი (იუვენტუსი).

* * *

**„მეცის“ თავდამსხმელმა გიორგი მიქაუტაძემ ამხანაგურ მატჩში ლუქსემბურგის „ესპერანჟესთან“ (4:1) დუბლი შეასრულა.**

ქართველმა ფეხბურთელმა სპარინგში თავის გამოჩენის შემდეგ, რომელიც მისთვის აგვისტოს მერე პირველი საკლუბო გოლები იყო, კომენტარი გააკეთა:

**„სასიამოვნო იყო. ველოდი, რომ თამაშზე გადამწყვეტ გავლენას მოვახდენდი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამხანაგური მატჩი იყო. ჩემპიონატში საბრძოლველად უნდა ვიმუშაოთ. სასიამოვნო იყო გოლის და გამარჯვების გემოს განცდა“,** – თქვა მიქაუტაძემ.

შეგახსენებთ, რომ „მეცს“ ლიგა 1-ის ბოლო ხუთ ტურში ქულა არ მოუპოვებია, რის შედეგადაც 16 ქულით უკვე მე-16 ადგილზე ჩამოქვეითდა, რაც გასავარდნი პლეი-ოფის ზონაა, წინ კი, 27 იანვარს, „ნიცასთან“ საგარეო მატჩია. მიქაუტაძეს ლიგა 1-ის მიმდინარე სეზონში 4 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი (1 საგოლე პასი) და გუნდში ჯერ კიდევ მესამე გოლეადორია შეიკ საბალისა და აბდულიე ჯალოუს შემდეგ, რომელთა აქტივში 3-3 გოლია.

პროვოკატორთა გასაგონად!

# ნეონატალური ასაკის ინტენსიური მკურნალობა მთლიანად ფინანსდება!

**ცალკეული მედიასაშუალებისა და ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ნეონატალური ასაკის ინტენსიური მკურნალობა მხოლოდ 70%-ით ფინანსდება და მოქალაქეს 30%-იანი თანადაფინანსების გადახდა უწევს, არ შეესაბამება სიმართლეს და სახელმწიფო პროგრამის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ემსახურება,** – ამის შესახებ დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

მათივე განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები, მიმართულია მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად და ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

# აჭარის ტურისტული შესაძლებლობები 25-ზე მეტ საერთაშორისო გამოფენაზე წარმოჩნდება




**აჭარის ტურისტული შესაძლებლობების პოზიციონირება საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე დაიწყო. პირველი გამოფენა, სადაც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალი წარადგინა ჰელსინკის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „MASKA2024“-ია,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გამოფენაში უწყება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს. გამოფენის ფარგლებში ვიზიტორებს საშუალება აქვთ აჭარის და ზოგადად, საქართველოს ტურისტულ ადგილებს, პროდუქტებს, სერვისებსა და მიმართულებებს გაეცნონ. გამოფენის ფარგლებში მიმდინარეობს შეხვედრები ტურისტული სააგენტოების, სარეკლამო კომპანიებისა და მედიის წარმომადგენლებთან. ფინეთი სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან ერთად აჭარისთვის ახალ სამიზნე ბაზარს წარმოადგენს, სადაც ქვეყნის ცნობადობის გაზრდისთვის საჭირო ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი მიმდინარე წელს 25-ზე მეტ საერთაშორისო გამოფენასა და ღონისძიებაზე გეგმავს რეგიონის პოპულარიზაციას. მათ შორის მსოფლიოში უმსხვილეს ტურისტულ გამოფენებზე გერმანიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ბალტიისპირეთსა და მეზობელ ქვეყნებში.

# ნაკადულის კალმახები რაჭის ველურ ბუნებაში

ნაკადულის კალმახის ქვირითისა და ლავრის ველურ ბუნებაში გაშვება არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი სახეობის მომრავლებას და მაქსიმალურად ზრდის ბუნებრივად გამოჩეკის პროცესს.

**„რაჭის ეროვნული პარკი, რომელიც ონის მუნიციპალიტეტში 2022 წელს შეიქმნა, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ადგილს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის. რაჭის ეროვნული პარკი გამოირჩევა ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის უნიკალური ბიომრავალფეროვნებით, ეკოსისტემებითა და ლანდშაფტებით.**

**2016 წლის სექტემბრიდან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახორციელებს პროექტს, რომელიც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობის ნაკადულის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს. სააგენტოს გეგმა წელიწადში ნახევარი მილიონი ლიფსიტის წარმოება და მდინარეების გათევზიანებაა. ნაკადულის/მდინარის კალმახი 2006 წელს „წითელ ნუსხაში“ მოხვდა. მინიჭებული აქვს მოწყვლადის კატეგორია. მსგავსი ტენდენცია ევროპის არაერთ ქვეყანაშია, რის გამოც პოპულაციის ხელოვნური გამრავლება და მდინარეთა დათევზიანება ხდება.**

**აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს, ახალი დაცული ტერიტორიების შექმნასთან ერთად, ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენა და მათი ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება წარმოადგენს, რისთვისაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება“. ამჟამად რაჭის ეროვნული პარკის მდინარეები „წითელი ნუსხის“ სახეობის ნაკადულის კალმახის 60 ათასი ქვირითით დათევზიანდა,** – აღნიშნულია ინფორმაციაში, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.





# ისტორიული პროზის მეტრი სიმონ მონტეფიორე საქართველოში

**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პარტნიორი პროდიუსერების ორგანიზებით, თბილისს ბრიტანელი ისტორიკოსი, მსოფლიოში ისტორიული პროზის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წარმომადგენელი სიმონ სებაგ მონტეფიორე სტუმრობს.**

კინოცენტრის ხელშეწყობით შეხვედრა მწერალთა სახლში გაიმართა და მას კინოს, ლიტერატურისა და მუზეუმების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი კობა ხუბუნაია, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსი ბაჩო ოდიშარია და საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე.

საუბარი შეეხო ავტორის შემოქმედებას, დოკუმენტური პროზისა და ლიტერატურული ნაწარმოების კინოადაპტირების ხერხებს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა. ცნობილი ავტორი როგორც ლიტერატურულ, ისე სატელევიზიო და კინოწრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი საქართველოში ვიზიტის მიზანია საკუთარი შემოქმედებისა და სახელოვნებო ინდუსტრიასთან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების აუდიტორიისთვის გაზიარება.

სიმონ სებაგ მონტეფიორის წიგნები მსოფლიოს ბესტსელერებად იქცა. მისი ნაწარმოებები 34 ენაზეა გამოცემული. ისტორიული წიგნი „ეკატერინე დიდი და პოტიომკინი“ სემუელ ჯონსონის, დაფ კუპერისა და მარშის პრემიებზე იყო წარდგენილი. 1990-იან წლებში, როგორც ჟურნალისტი, ბევრს მოგზაურობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში. სხვა ნაწარმოებების გვერდით მან შექმნა წიგნების სერია სტალინის შესახებ.


განცხადება

# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი დვალის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ.№7, სართ. 3, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.007.012.01.022).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 417639.37 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 22 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 6 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95552324;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 955523

6. **მოვალე:** ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;
შპს „მანავის ფერმა“ (ს/ნ 402195655), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;
თარაშ დვალი (პ/ნ 01005040965), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95552324; ლოტის ნომერი: 955523).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 თებერვლის 12:00 საათამდე.

# გაზეთი, რომელიც ოაზისად მოჩანს გაუდაბურებულ ქართულ ჟურნალისტიკაში

**ბატონო სპარტაკ!**

**ზნეკეთილ და პატიოსნებით სავსე, პროფესიონალ ჟურნალისტთა თითქმის უკანასკნელო აბენსერაჟო!**

**რომ იცოდეთ, როგორ გვიყვარხართ, როგორ გვეიმედებით და რა დიდ ვალში ვართ თქვენთან ქართველი მწერლები.**

**თქვენ ზედმიწევნით ზუსტად გაქვთ გასიგრძეგანებული ქართული მწერლობის როლი და მნიშვნელობა დღევანდელ სამყაროში, დენთიით სავსე კასრს რომ დამსგავსებია. ამიტომაც ცდილობთ, უმიზეზოდ და ულვთოდ დატოვებული მწერლობის გვერდზე დგომას და მისი მართალი სიტყვის ტირაჟირებას თქვენი მშვენიერი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე, იმ გაზეთისა, ოაზისად რომ მოჩანს გაუდაბურებულ ქართულ ჟურნალისტიკაში.**



**სულითა და გულით გილოცავთ დაბადების 75 წლისთავს, გისურვებთ სულიერ მხნეობას, რათა ძველებური ენერგიითა და შემართებით ემსახუროთ მშობელ ქვეყანასა და ერს.**

**მაყვალა გონაშვილი,**
პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე.


# გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა"

**ხელმოწერისთვის მიმართეთ:**

**შპს „ელვა ჯი"**
**595 382 626; 2 38 26 73;**
**2 38 26 74; 577 308 847**

**შპს „პლანეტა ფორტე"**
**579 79 99 08; 599 94 73 11**

**წერილები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU**

**დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:**

**თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116, „დიდუბე პლაზა" – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის" ოფისი.**

ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე
**GEO90BG0000000538329790**

**შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა", გაზეთ „საქ. რესპუბლიკის" გამომცემელი.**
**ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17**




# „ჰარირა-ჰარირამა" – სიმღერები, რომლითაც „დიდგორი" ოცი წელია გვატკბობს

**ანსამბლმა „დიდგორმა" სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილი მეგრულ-აფხაზური სიმღერების ალბომი – „ჰარირა-ჰარირამა" წარადგინა.**

ღონისძიებას კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე მარიამ კუჭავა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე, კულტურის ყოფილი მინისტრი, მწერალი გურამ ოდიშარია, ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე ლალი სეთურიძე და ხალხური სიმღერით დაინტერესებული სტუმრები ესწრებოდნენ.

მეგრულ-აფხაზური სიმღერების ალბომი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „ამღერებული მუზეუმსი" ფარგლებში ჩაიწერა. პროექტი 2023 წლის ივლის-ოქტომბრის განმავლობაში მიმდინარეობდა გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ალბომში წარმოდგენილია მეგრული და აფხაზური სიმღერები, რომლებიც დაკავშირებულია მათი ჟანრების, ფუნქციისა და ჟღერადობის მიხედვით. ანსამბლი „დიდგორი" წელს 20 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ სიმღერებს დიდგორელები ანსამბლის დაარსების დღიდან მღერიან და თანაბარი სიყვარულითა და სიამაყით წარადგენენ მსმენელის წინაშე საქართველოსა თუ მის საზღვრებს გარეთ.

„ჰარირა-ჰარირამა" ჩაიწერა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხმის ჩამწერ სტუდიაში, ხოლო გამოსაცემად მომზადდა ფონდის „ქართული გალობა" მხარდაჭერით. პროექტის მიმდინარეობისას, რამდენიმე თვის განმავლობაში, ეთნოგრაფიული მუზეუმის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მოესმინათ სხვადასხვა კუთხის ფოლკლორი, დასწრებოდნენ ხალხური სიმღერის გაკვეთილებს და ემღერათ პროფესიონალებთან ერთად.

# რუსთაველის თეატრში პატარა „სუხიშვილების" კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა



**„სუხიშვილების აკადემიის" ტრადიციად ქცეულმა კონცერტმა, რომლითაც პატარა „სუხიშვილები" გულშემატკივარს ახალ წელსა და ნათლისღებას ულოცავენ, ანშლაგით ჩაიარა.**

„რუსთაველის თეატრში" ბილეთები 4 საათში სრულად გაიყიდა.

# მსახიობობას მწყემსობა არჩია

**იან სომერჰოლდერმა განაცხადა, რომ მსახიობობას თავი ფერმაში ცხოვრების გამო დაანება.**

„ვამპირის დღიურების" ვარსკვლავმა ბოლო ინტერვიუში თავისი ცხოვრების განსხვავებულ სტილსა და ახალ ეტაპზე ისაუბრა, რომელსაც ის ფერმაში ცხოვრებისას განიცდის.



**„ძალიან მიყვარს ფილმების გადაღება, უბრალოდ ეს საკმარისად დიდხანს ვაკეთე. ძალიან კარგი პერიოდი იყო",** – აღნიშნა მან.

იანი თავის ცოლთან, მსახიობ ნიკკი რიდთან ერთად ლოს ანჯელესის მახლობლად ფერმაში გადავიდა, სადაც ისინი თავიანთ ორ შვილს, 6 თვის ბიჭსა და 6 წლის გოგონას ზრდიან.


# საქართველოს რესპუბლიკა

**SAKARTVELOS RESPUBLIKA**

ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
**599 36-00-35**

მთავარი რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
**597-22-07-04**

ტექნიკური რედაქტორი
**კახა ქორიძე**

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი**
**გია პლატონიშვილი**
**ოთარ ტურაბელიძე**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი,**

ოპერატორი
**ზორენა გვილია**

**რეკლამის მენეჯერი:**
**577-77-27-17**
**rkobulia29@gmail.com**
ანგარიშის ნომერი
**GE90BG0000000538329790**

**გამომცემელი:**
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6576; ევრო - 2.8941;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3704;
100 რუბლი - 2.9924; თურქული ლირა - 0.0882;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5619;
1000 სომხური დრამი - 6.5693

**ამინდი 19 იანვრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე | +4, | დღე +14 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: **sakresp@top.ge**
და **sakresp@mail.ru**
ვებ-გვერდი: **www.sakresp.ge**